

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2019 წლის
საქმიანობის ანგარიში



თბილისი
2020 წელი

სარჩევი

გენერალური აუდიტორის მიმართვა	4
2019 წლის ძირითადი შედეგები.....	6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები.....	9
1. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება.....	10
2. აუდიტორული საქმიანობა	12
2.1 ძირითადი შედეგები.....	13
2.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	43
2.3 აუდიტის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა.....	52
3. ძირითადი პარტნიორების ჩართულობა	53
3.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან	54
3.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან.....	54
3.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან	55
3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა	55
3.5 საერთაშორისო თანამშრომლობა	57
4. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა	62
4.1 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება	63
4.2 შიდა ინფორმაციული სისტემები და უსაფრთხოება	63
5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....	65
6. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.....	69
7. სამსახურის ფინანსები	72
8. მომავლის ხედვა და არსებული გამოწვევები.....	74
დანართები	76
დანართი N1. 2019 წელს ჩატარებული აუდიტების სია	76
დანართი N2. სამართალდამცავ ორგანოებში 2019 წელს გადაგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი.....	79
დანართი N3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	81

გენერალური აუდიტორის მიმართვა

წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც სამსახურის ხუთწლიანი განვითარების სტრატეგიის მეორე წლის შედეგებს მოიცავს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის საქმიანობა, გასული წლის მსგავსად, დაგეგმილი იყო და წარიმართა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიხედვით, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავდა საერთაშორისო სტანდარტებთან (PEFA) დაახლოებას, სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების დაფარვის მაჩვენებლების გაზრდის გზით. 2019 წელს ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი, გასულ წელთან შედარებით, 2%-ით გაიზარდა და 87%-ს მიაღწია.

აუდიტის სამსახურმა დანერგა აუდიტის ახალი მიმართულება – სისტემური შესაბამისობის აუდიტები და 2019 წელს ჩაატარა ასეთი ტიპის ორი აუდიტი, რომლებმაც დაფარა 66 საჯარო უწყება. სისტემური აუდიტებით გამოვლენილი მიგნებების და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, საჯარო სექტორს ეძლევა შესაძლებლობა, შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა სისტემური ხარვეზების მოგვარებისა და პრევენციისთვის.

სამსახურმა 25%-ით გაზარდა სტრატეგიულ მიზნად დასახული ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა და საერთო ჯამში ჩაატარა 15 ეფექტიანობის აუდიტი, რომელმაც ხუთი სექტორი მოიცვა (ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, სოციალური დაცვა, დასვენება და კულტურა). ამრიგად, 2019 წელს ჩატარებულ აუდიტებში, ეფექტიანობის აუდიტების წილი 21%-მდე გაიზარდა.

აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტია აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი, რომელიც გამოიხატება საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაში. 2019 წელს გაიცა ათასზე მეტი რეკომენდაცია.

წლიდან წლამდე, რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტების არსებობას. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. სისტემას რეკომენდაციების გაცემის, შესრულებისა და მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში და უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვას.

აღსანიშნავია, რომ სისტემის საშუალებით აუდიტის სამსახურის მთავარ პარტნიორს – საქართველოს პარლამენტს, შეუძლია უშუალოდ ჩაერთოს მონიტორინგის პროცესში და ამით გააძლიეროს მისი სა-



ზედამხედველო ფუნქცია საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. სისტემის პრაქტიკაში დანერგვა, აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება მომდევნო წლების განმავლობაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტი აქტიურადაა ჩართული აუდიტის ანგარიშების განხილვის პროცესში. დარგობრივი უწყებების მონაწილეობით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აუდიტის ანგარიშების განხილველმა სამუშაო ჯგუფმა 2019 წელს განიხილა 13 აუდიტის ანგარიში.

აუდიტის სამსახურთან თანამშრომლობას განაგრძობენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. 2019 წელს უკვე მეორედ განხორციელდა მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული პროექტის ეფექტიანობის აუდიტი. ასევე, 2019 წელს სამსახურმა დაასრულა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის პირველი ფინანსური აუდიტი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს, პოლონეთის, უკრაინის, სერბეთის, ბელარუსისა და აზერბაიჯანის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან ერთად სამსახური მონაწილეობდა ორ საერთაშორისო პარალელურ აუდიტში: წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი და ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტორული საქმიანობის პარალელურად, სამსახური თავის გამოცდილებასა და რესურსს აქტიურად იყენებს საჯარო სექტორში პრევენციული მექანიზმების დანერგვის მიმართულებით, რომელსაც წარმატებით ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი.

კერძოდ, მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სპეციალური ტრენინგკურსი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა. საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, 2019 წელს აღნიშნული კურსი გაიარა 37 მუნიციპალიტეტის 60-ზე მეტმა საჯარო მოხელემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციისა და დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. 2019 წელს წარმატებით გაგრძელდა აუდიტის სამსახურის ინიციატივით შექმნილი სტაჟირების პროგრამა, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, 15 ახალგაზრდა სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში დასაქმდა. სტაჟირების პროგრამა გაგრძელდა 2020 წელსაც.

სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას, რათა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები დროულად და ეფექტიანად იქნეს მიღწეული.

ერეკლე მექვაბიშვილი

გენერალური აუდიტორი



2019 წლის ძირითადი შედეგები

1. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაქლიერება

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონისათვის „ორგანული კანონის“ სტატუსის მინიჭებამ კიდევ უფრო გააძლიერა სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიები და დაუახლოვა საერთაშორისო სტანდარტებს;
- 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ კონტროლს ახორციელებს მსოფლიოს 4 უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. უკვე მეორე წელია, ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას.

2. აუდიტორული საქმიანობა

- ჩატარდა 70 აუდიტი, მათ შორის: 16 – ფინანსური, 37 – შესაბამისობის, 2 – სისტემური შესაბამისობისა და 15 ეფექტიანობის აუდიტი;
- ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა გაიზარდა 25%-ით, მათი წილი ჯამურად ჩატარებულ აუდიტებში კი – 13%-დან 21%-მდე;
- ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი გაიზარდა 2%-ით და 87% შეადგინა;
- აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 2 სისტემური (ჰორიზონტალური) შესაბამისობის აუდიტი: სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები და ხელშეკრულებების მართვა. აუდიტების ფარგლებში თემატურად დაიფარა 66 საბიუჯეტო ორგანიზაცია;
- სამსახურმა ჩაატარა 2 ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტი: სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემდგომი რეაგირებისა და სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემის ეფექტიანობის აუდიტი;
- 2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფინანსური აუდიტი და დაიწყო მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის ეფექტიანობის აუდიტი;
- პოლონეთის, უკრაინის, სერბეთისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან ერთად სამსახური მონაწილეობდა 2 საერთაშორისო პარალელურ აუდიტში: წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი და ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი;
- 2019 წელს სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.¹ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი სისტემას სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში და უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას;
- სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 34 აუდიტის შესაბამისი მასალა.

¹ <https://aris.sao.ge>



3. ძირითადი პარტნიორობის ჩართულობა

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

- პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აუდიტის ანგარიშების განმხილველმა სამუშაო ჯგუფმა განიხილა 13 აუდიტის ანგარიში.

ჩართულობა და გამჭვირვალობა

- 2019 წლის ღია ბიუჯეტის ინდექსის (Open Budget Index)² მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტში აუდიტის სამსახურის შეფასება გაიზარდა 67-დან 78 ქულამდე, რითაც სამსახური ინარჩუნებს ყველაზე მაღალ შეფასებას კვლევაში მონაწილე სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის;
- 2019 წელს სამსახურის მიერ მიღებული 72 მომართვიდან 33% გათვალისწინებულ იქნა 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში;
- აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტებისა და ბიუჯეტის მონიტორის შესახებ გაიმართა 5 სამუშაო შეხვედრა პარლამენტთან, მედიასთან, სამოქალაქო და აკადემიური სექტორების წარმომადგენლებთან;
- განახლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ვებგვერდები;³
- გაიმართა მედიასემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30-მდე ჟურნალისტმა ცენტრალური და რეგიონული მედიიდან.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- გაფორმდა ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აზერბაიჯანის, ისრაელისა და ფინეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან;
- მრავალმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა საქართველოს, აზერბაიჯანის, ბელარუსისა და უკრაინის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებს შორის;
- საქართველოს გენერალურმა აუდიტორმა EUROSAI-ASOSAI-ის რიგით მე-3 ერთობლივ კონფერენციაზე, საერთაშორისო აუდიტორულ საზოგადოებას გაუზიარა აუდიტის სამსახურის გამოცდილება თემაზე: „ეფექტიანობის გაზრდა ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემის (ICT) გამოყენებით“;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის, EUROSAI-ისა და ASOSAI-ის 20-მდე საერთაშორისო შეხვედრაში;
- აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით მიმდინარეობდა პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით: GIZ, EU, WB, USAID.

² <https://www.internationalbudget.org/open-budget-survey/country-results/2019/georgia>

³ <https://www.sao.ge/ka/>, <http://www.sai.ge/ka/>

4. შიდა გეარტვალოგა და ორგანიზაციული კულტურა

- 2019 წელს სამსახური სრულად გადავიდა აუდიტის მართვის სისტემაზე (AMS) და არსებული მდგომარეობით, სისტემაში მიმდინარეობს აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული ყველა აუდიტი;
- ნიდერლანდების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მზარდაჭერით განხორციელებული სამსახურის კეთილსინდისიერების გარემოს თვითშეფასების (IntoSAINT-ის) შედეგების გათვალისწინებით, განახლდა და 2019 წელს დამტკიცდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა 2019 წელს განახლა და შეიმუშავა ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინფორმაციული აქტივების მართვის სხვადასხვა პოლიტიკა.

5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

- 2019 წელს 2-ჯერ განხორციელდა თანამშრომელთა შეფასება. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სულ დანიშნურდა 45 თანამშრომელი;
- სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 200-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- 2018 წელს შეიქმნა და პირველად განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. 2019 წელს, ერთწლიანი სტაჟირების პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, 15 ახალგაზრდა დასაქმდა სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში;
- სამსახურის 93 თანამშრომელი ფლობს საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიკატს, აქედან: 44 თანამშრომელი – ACCA-ის, 19 თანამშრომელი – IT მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს, 3 თანამშრომელი – CFA-სა და CFM-ს;
- 2019 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 33 ტრენინგკურსი, რომელსაც დაესწრო 824 მსმენელი. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 102-მა პირმა;
- სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგკურსი: „შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისთვის“. 2019 წელს სასწავლო კურსი გაიარა 37 მუნიციპალიტეტის 60-ზე მეტმა საჯარო მოხელემ.

⁴ უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების კეთილსინდისიერების თვითშეფასების მეთოდოლოგია.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის.

ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

ღირებულებები

დამოუკიდებლობა
ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებს.

პროფესიონალიზმი
ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ მაღალი პროფესიული სტანდარტების, კეთილსინდისიერებისა და ეთიკის შესაბამისად.

ობიექტურობა
ჩვენი საქმიანობა ემყარება სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

გამჭვირვალობა
ჩვენ ვართ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე და უზრუნველვყოფთ შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნები



მიზანი 1:
დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება



მიზანი 2:
მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება



მიზანი 3:
ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება



მიზანი 4:
მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება



მიზანი 5:
თანამშრომელთა პროფესიული განვითარება



1.

დამოუკიდებლობისა და მენდების
გამლიწრება

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციისთვის დამოუკიდებლობა უმთავრესი ღირებულებაა, რომლის განმტკიცებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესია. დამოუკიდებლობის გარანტიები დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათ რეპუტაციასა და ნდობაზე.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონისათვის „ორგანული კანონის“ სტატუსის მინიჭებამ კიდევ უფრო გააძლიერა სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიები და დაუახლოვა საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე ამ მხრივ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ. შედეგად, უკვე მეორე წელია ჩატარებული ფინანსური აუდიტის

ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას.

დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის პარალელურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური განაგრძობს აქტიურ კონსულტაციებს საქართველოს პარლამენტთან აუდიტორული მანდატის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით. ამ კუთხით, აღსანიშნავია, ევროკავშირის *ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების დოკუმენტის* ფარგლებში გაცხადებული ვალდებულება, შემოსავლების აუდიტის მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატის გაძლიერების შესახებ.



2.

ეუდითორული საქმიანობა


2.1 ძირითადი შედეგები

2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 70 აუდიტი (იხ. დანართი N1) და ჯამურად დაფარა 12 მლრდ ლარზე მეტი, რაც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 87%-ს შეადგენს. ჩატარდა 16 – ფინანსური, 37 – შესაბამისობის, 2 – სისტემური შესაბამისობისა და 15 – ეფექტიანობის აუდიტი.


2018 წელთან შედარებით შემცირდა ფინანსური აუდიტების რაოდენობა, რაც გამოწვეულია მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით (სამინისტროების გაერთიანებით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტების ნაცვლად, ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებით. მიუხედავად ამისა, 2%-ით გაიზარდა ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი.

შემცირდა ასევე შესაბამისობის აუდიტების რაოდენობაც, რაც გამოწვეულია აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ახალი მიმართულების – სისტემური (ჰორიზონტალური) შესაბამისობის აუდიტების პრაქტიკაში დანერგვით. სისტემური აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისა, რომელიც კონცენტრირებულია ერთ უწყებაზე. მაგალითად, 2019 წელს ჩატარებული სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების სისტემური აუდიტის ფარგლებში აუდიტის სამსახურმა შეაფასა 34 საბიუჯეტო ორგანიზაციაში არსებული პრაქტიკა. ჰორიზონტალური აუდიტები რაოდენობრივად ამცირებს ჩატარებულ აუდიტებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

დიაგრამა 1: ნაერთი ბიუჯეტის თანობრივი დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი)



დიაგრამა 2: აუდიტების რაოდენობა სახეობებისა და წლების მიხედვით



სისტემური (კორიფორმალური) შესაბამისობის აუდიტები

შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთო საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისათვის. ამასთანავე, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ზოგჯერ სცდება ინდივიდუალური უწყების უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ, კორიფორმალური შესაბამისობის აუდიტების მიზანია საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

სამსახურმა ჩაატარა 2 სისტემური შესაბამისობის აუდიტი:

- სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები;
- ხელშეკრულებების მართვა.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიგნება და მათ აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები.

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების სისტემური შესაბამისობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ჩატარებული აუდიტების შედეგად, ვლინდებოდა ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები. სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციისა და ხარჯების შემცირების მიზნით, 2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება – „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეესწავლა მთავრობის N121 დადგენილების ამოქმედების შემდგომ სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები. აუდიტის ობიექტებად შერჩეულ იქნა 5 მხარჯავი დაწესებულების⁵ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები, რომელთა საერთო რაოდენობამ, ჯამში 34 შეადგინა.

მიგნება 1: 2014 წელს⁶ სახელმწიფო უწყებებს დაევალიათ ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმების შედგენა და სახელმწიფო კომისიისთვის წარდგენა,⁷ რაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დამტკიცებული. ასევე ორგანიზაციების ნაწილში ფიქსირდება დადგენილებით განსაზღვრულზე მეტი და არაკლასიფიცირებული ავტომობილები. შედეგად, მთავრობის N121 დადგენილების ერთ-ერთი მიზანი, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაცია, მიღწეული არ არის.

რეკომენდაცია: სახელმწიფო ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილების და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო კომისიამ შეიმუშაოს ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმის წარდგენის ერთგვაროვანი ფორმა და განსაზღვროს ოპტიმიზაციის პროცესის თითოეული ეტაპის დასრულების გონივრული ვადები, რაც ხელს შეუწყობს:

- ოპტიმიზაციის გეგმების დამტკიცებას;
- მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმალურ გადანაწილებას და კლასიფიცირებას;
- სამორიგეო და განპიროვნებული ავტომობილების ზღვრული ოდენობის კონტროლს.

მიგნება 2: მთავრობის დადგენილებაში მოცემული მოთხოვნები არ იძლევა ალტერნატიულ ენერჯიზმე მომუშავე (მაგალითად, ჰიბრიდული და ელექტრო-

⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

⁶ კომისიის 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებას განმეორებით დაევალია ოპტიმიზაციის გეგმის წარდგენა 2018 წლის 25 აპრილამდე.

⁷ აუდიტის ობიექტებმა ოპტიმიზაციის გეგმები კომისიას წარუდგინეს დადგენილ ვადებში, გარდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა.



ავტომობილები) ავტომობილების შეძენის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს სანვავის და ავტომობილების საექსპლოატაციოდ საჭირო ფინანსების ეკონომიურ ხარჯვას და ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობას.

რეკომენდაცია: ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობის მიზნით, გადაიხედოს მთავრობის N121 დადგენილება და შევიდეს ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ალტერნატიულ ენერჯიაზე (მაგალითად, ჰიბრიდული და ელექტროსისტემის მქონე) მომუშავე ავტომობილების შესყიდვას.

მიგნება 3: მსოფლიოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების შეძენამდე, ხორციელდება ხარჯსარგებლიანობის ანალიზი (cost-benefit analysis). აღნიშნული პრინციპით საქმიანობა ეხმარება სახელმწიფო ავტოპარკის მართვის ორგანოებს, აკონტროლონ რამდენად დროულია და ხარჯეფექტურია ავტოპარკის განახლება.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ავტოპარკის მართვაში ხარჯეფექტურობის ანალიზის პრინციპებს და ის არც პრაქტიკაშია დანერგილი.

რეკომენდაცია: ავტოპარკის განახლების ოპტიმალური დროის განსაზღვრისა და ხარჯეფექტურობის დასაბუთების პრინციპების ეტაპობრივად დანერგვის მიზნით, სახელმწიფო კომისიამ კარგი საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, იმსჯელოს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც ავტომობილის შეძენამდე განსაზღვრავს ხარჯეფექტურობის პრინციპებს.

მიგნება 4: სანვავის ლიმიტების განსაზღვრის წინაპირობები არ არის ჩამოყალიბებული. ამასთანავე, ორგანიზაციების ნაწილში გამოვლინდა, რომ განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე პირების შვებულებაში/მივლინებაში ყოფნის პერიოდში, ავტომობილების ექსპლოატაციის შემთხვევები. ასევე, ორგანიზაციათა უმეტესობაში სუსტია სამორიგეო ავტომობილების სათანადო დანიშნულებით გამოყენების კონტროლის მექანიზმები, რაც მათი არადანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

რეკომენდაცია: საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, N121 დადგენილებით განისაზღვროს მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს დაავალდებულებს, შეიმუშაონ სანვავის ლიმიტის გაანგარიშების წესი, რაც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება თვის განმავლობაში ავტომობილის მიერ სამსახურებრივი დანიშნულებისთვის გასავლელ საშუალო მანძილსა და ავტომობილის წვის ნორმაზე. ასევე, ორგანიზაციებმა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო კოორდინაციით, დანერგონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონებისა და სხვა რესურსების მიზნობრივ გამოყენებას.

ხელშეკრულებების მართვის სისტემური შესაბამისობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშებში ხშირად არის განხილული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელშეკრულებების მართვის კუთხით არსებულ პრობლემებს უკავშირდება და გარკვეულ შემთხვევებში ფინანსურ დანაკარგებსაც იწვევს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარდა ხელშეკრულებების მართვის შესაბამისობის სისტემური აუდიტი.

ხელშეკრულების ფორმისა და არსებითობის გათვალისწინებით, სამსახურმა შეარჩია შრომითი, იჯარის და საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, ხოლო შესწავლის საგნად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებამდე დაგეგმვის, პირობების შედგენის, ცვლილებებისა და შესრულების კონტროლის პროცესი.

აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა 32 ორგანიზაცია, მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი 21 და ადგილობრივი ბიუჯეტის – 11 ორგანიზაცია.

მიგნება 1: ვინაიდან შემოწმებული ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი არ ითვალისწინებდა საიჯარო ქირის ოდენობის გადახედვას ეკონომიკური პირობების ცვლილებების საფუძველზე, შესაძლოა, სახელმწიფო აუდიტის მიერ დადგინდეს საბაზრო ფასებისაგან, რაც ამცირებს მისალეობ საბიუჯეტო შემოსავლებს.

რეკომენდაცია: მისაღები საბიუჯეტო შემოსავლების ოპტიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს ღირებულების გადახედვას ეკონომიკური ცვლილების შესაბამისად. ასევე, ხელშეკრულების პირობების ჭეროვნად შესასრულებლად, ორგანიზაციებმა პერიოდულად უზრუნველყონ სახელშეკრულებო ფასების გადახედვა ყველა მოქმედი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც სათანადოდ უნდა დასაბუთდეს.

მიგნება 2: ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის მიერ სხვადასხვა ხელშეკრულებით განისაზღვრა ერთი და იმავე სამუშაოების შესყიდვა. შედეგად, საავტორო ზედამხედველობის სამუშაოებისათვის ფონდის მიერ ზედმეტად ანაზღაურებულია 28,176 ლარი, ხოლო სამუშაოთა შემსრულებელი კომპანიის მიერ – 132,575 ლარი, რაც ჯამში 160,751 ლარს შეადგენს.

რეკომენდაცია: ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ჭეროვნად და სრულყოფილად შესრულების, ასევე საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდმა შეიმუშაოს და დანერგოს ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის სათანადო მექანიზმები. ამასთანავე, ზედმეტად გადახდილი თანხების დასაბრუნებლად განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების კულისები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს პირველად განახორციელა საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის აუდიტი. მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის – „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა“ (SRAMP) – დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტი, სამსახურმა მსოფლიო ბანკისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე ჩაატარა. 2018 წელს დასრულებული აუდიტი იყო პროექტის პირველ ეტაპი, რომელმაც დაფარა 2016-2017 წლების საქმიანობა. აღნიშნული აუდიტის მეორე ეტაპი დაიწყო 2019 წელს და დასრულდება 2020 წელს. აუდიტის მეორე ეტაპის ფარგლებში დაიფარება 2018 და 2019 წლების საქმიანობა.

ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2018 წელს მიმართა USAID-მა, მის მიერ დაფინანსებული პროექტის ფინანსური აუდიტის ჩატარების თხოვნით. აუდიტის სამსახურმა სრულად დააკმაყოფილა USAID-ის მოთხოვნები აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით და გახდა USAID-ის აუდიტორი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რეგიონში.

USAID-თან თანამშრომლობის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2019 წელს განახორციელა სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტი.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებული ნდობა მიუთითებს აუდიტის სამსახურის საქმიანობის წარმატებასა და აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხზე.

ფინანსური და მუსაპაიისოების პოლიტიკის შედეგები

ფინანსური აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს და აფასებს საჯარო დაწესებულების ანგარიშსა და ანგარიშგებას, ასევე შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციონირებას. აუდიტის შედეგების საფუძველზე სამსახური გასცემს დასკვნას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.

შესაბამისობის აუდიტის მიზანია დაადგინოს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებაში.

2019 წელს აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 16 ფინანსური და 37 შესაბამისობის აუდიტი, რაც მოცემულ წელს განხორციელებული აუდიტების საერთო რაოდენობის 76%-ს შეადგენს. ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 68 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ძირითადად არის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევები და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს.



დარღვევის კატეგორია

შესყიდვების მართვა⁸

22,078 ათასი ლ

აქტივების მართვა⁹

24,435 ათასი ლ

საბიუჯეტო რესურსების მართვა¹⁰

21,638 ათასი ლ


სულ: 68,151 ათასი ლ

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა გასული წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ფინანსური აუდიტის შედეგები

საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ამ სფეროში არსებულ სისტემურ გამოწვევებზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტებში გაცემული მოსაზრებების¹¹ სტატისტიკა, რომელიც აფასებს საჯარო უწყების მიერ წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეს. 2019 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 16 ფინანსური აუდიტიდან, უპირობო მოსაზრება გაიცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 44% (7 მოსაზრება) იყო უარყოფითი.

დიაგრამა 3. 2019 წელს ჩატარებული 16 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით



ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით 2017-2019 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 92 ფინანსური აუდიტიდან, 89%-ზე გაცემულია პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება, ხოლო 5%-ს უარი ეთქვა

⁸ მომწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა; მომწოდებლის მიერ საჯარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა; დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები; მომწოდებლის მიერ შეუსრულებელი ან ნაწილობრივ დასრულებული სამუშაოები; სატენდერო დოკუმენტაციაში შემზღუდავი პირობების არსებობის შედეგად არაეკონომიურად გახარჯული თანხები.

⁹ იჯარით გაცემულ სახელმწიფო ქონებაზე გადაუხდელი საიჯარო ქირა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები; სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად; საიჯარო ქირის გარეშე სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება.

¹⁰ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე საბაზრო ღირებულებაზე მეტი ოდენობით თანხების ანაზღაურება; შესყიდული საქონლის/მომსახურების გამოუყენებლობა; საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ განეული ხარჯები.


¹¹ ფინანსური აუდიტში გამოთქვამენ ოთხი ტიპის მოსაზრებას:

- უპირობო მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები;
- პირობითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი;
- უარყოფითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე – აუდიტორებს არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რომლებსაც დაეყრდნობა მათი მოსაზრება.



მოსაზრების გამოთქმაზე. მხოლოდ 5 აუდიტის შემთხვევაში გამოითქვა უპირობო მოსაზრება, ანუ აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები.

დიაგრამა 4. 2017-2019 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა¹²



საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით 2009 წლიდან დაიწყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულად დანერგვას 2020 წლისათვის. მიუხედავად რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით ისევ შეინიშნება სისტემური ხარვეზები. არსებული ნაკლოვანებების მთავარი გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია:

- ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ნაკლებად პრიორიტეტულია საჯარო სექტორში;
- საჯარო სექტორისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, მათ

შორის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიმართულებით;

- აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან.

აუდიტის ანგარიშებში წარმოდგენილია ხარისხობრივად და რაოდენობრივად არსებითი უზუსტობები. გამოვლენილი დარღვევები შეიძლება დაჯგუფდეს 4 სისტემურ საკითხად:

- აქტივების მართვა;
- მოთხოვნები და ვალდებულებები;
- აღრიცხვა-ანგარიშგება;
- შიდა კონტროლის მექანიზმები.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში აქტივების მართვის კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებების მაგალითებია:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვა ან ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები;
- აქტივები, რომლებსაც არ ფლობს ან არ განკარგავს ორგანიზაცია, გამოუსადეგარია მოხმარებისთვის და აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში;
- აქტივები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსური აუდიტი

გამოვლინდა სამინისტროს ბალანსზე აღრიცხვა-ვი 148 შენობა-ნაგებობა თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც 2018 წლის ბოლოს საბუღალტრო მონაცემებში აისახა მხოლოდ რაოდენობრივად. ასევე, სამინისტროს აპარატში ინვენტარიზაცია სრული მოცულობით ჩატარდა მხოლოდ უძრავ ქონებაზე.

¹² 2017 წელს ინდივიდუალური ფინანსური აუდიტების გარდა, ასევე ჩატარდა 19 კონსოლიდირებული, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსური აუდიტი

2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მიერ მიღებული 97.4 მლნ ლარის ღირებულების ტექნიკა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის 2017 წელს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსგან მიღებული 6.7 მლნ ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე არ არის აღრიცხული 6.1 მლნ ლარის განსაკარგავად გადმოცემული ქონება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში არ არის შეფასებული მუნიციპალიტეტებისგან ნულოვანი ღირებულებით გადმოცემული საოფისე ფართები და მიწის ნაკვეთი. ანგარიშგებაში ასახულია მხოლოდ შენობაზე განეული კაპიტალიზებული ხარჯი, ღირებულებით – 53.6 ათასი ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს სხვადასხვა საბალანსო ერთეულში იდენტიფიცირებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული 2.6 მლნ კვ.მ მიწა, რომელიც არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-ებში შეფასებული და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის სარგებლობის უფლებით სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გადაცემული ქონება – შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 168 ათასი კვ.მ.

სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში 2018 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა ბალანსზე აღრიცხული 430 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი და 272.9 ათასი ისტორიული ღირებულების სრულად ამორტიზებული ძირითადი აქტივები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 50.5 მლნ ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდში არ არის ჩატარებული დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არ აქვს აღრიცხული ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ის არაფინანსური აქტივები, რომელთა განკარგვას/სარგებლობის უფლებით გადაცემასაც ახორციელებს.

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს ისეთი ტიპის დარღვევებს, როგორებიცაა:

- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებზეც აუდიტის პროცესში პირველადი დოკუმენტები ვერ იქნა მოპოვებული;
- აღურიცხავი ან ზედმეტად აღრიცხული მოთხოვნები და ვალდებულებები;
- დაფარვის დაბალი ალბათობის მქონე მოთხოვნები და ვალდებულებები;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა არსებობასა და სისწორეზე რწმუნება ვერ იქნა მიღებული.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები 8.6 მლნ ლარის ოდენობით. ასევე ფიქსირდება 3.7 მლნ ლარის ვალდებულება, რომელზეც პირველადი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება სხვადასხვა სამინისტროს გაერთიანების შედეგად 1997-2007 წლებში წარმოშობილი 11.1 მლნ ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და 11.6 მლნ ლარის კრედიტორული დავალიანებები, საიდანაც 4.7 მლნ ლარის მოთხოვნებისა და 1.9 მლნ ლარის ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება.

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული სააგენტოს მართვაში მყოფი სახელმწიფო საწარმოების კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი ტიპის შენატანები, რომელთა ოდენობა აუდიტორების მიერ იდენტიფიცირებული დოკუმენტაციის მიხედვით, მინიმუმ, 255.6 მლნ ლარს შეადგენს. სააგენტოს მიერ აღირიცხება მხოლოდ საწარმოებში განხორციელებული ფულადი შენატანები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 2004 წლიდან 2010 წლამდე წარმოქმნილი 4.4 მლნ ლარის ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს ან არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე.

ასევე სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული კონტრაქტორი საწარმოების მიმართ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული 4 მლნ ლარის საჯარიმო სანქცია.



**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
2018 წლის ფინანსური აუდიტი**

ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული საგარეო ვალი და გაცემული სესხები, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

საგარეო საქმეთა სამინისტროში ვალდებულებების ანგარიშზე არ არის ასახული UNESCO-ს მართ რიცხული 3.8 მლნ ლარის დავალიანება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში აღრიცხულია 1.9 მლნ ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების, დაახლოებით, 50%, თანხით – 266 მლნ ლარი, წარმოადგენს ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც წარმოშობილია 1996-2014 წლებში და მათი დაფარვის ალბათობა მცირეა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 5.6 მლნ ლარი. აქედან, 5 მლნ ლარი – 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს განადგურებული და დაკარგული ქონების საბალანსო ღირებულებაა, რომელიც შესაძლოა ექვემდებარებოდეს ჩამოწერას.

აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სამინისტროების უმრავლესობაში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციით მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების შესყიდვა და მათი სწორი მოხმარება, რაც, თავის მხრივ, იწვევს მთელ რიგ უზუსტობებს აქტივებზე დარიცხული ცვთის გაანგარიშებაში, ნაშთებისა და ოპერაციების არასწორ კლასიფიკაციასა და/ან დროში გამიჯვნაში და უზუსტობებს – სააღრიცხვო მონაცემებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არასრულადაა ელიმინირებული ოპერაციები სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის. კერძოდ, შიდა ჯგუფური ოპერაციების თანხა შეადგენდა 17.7 მლნ ლარს, საიდანაც ელიმინირებულია მხოლოდ 16.7 მლნ ლარი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – აკრედიტაციის ცენტრს 2018 წელს მიღებული საკუთარი შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს არა დარიცხვის, არამედ საკასო მეთოდით. შედეგად, ორგანიზაციის 2018 წლის შემოსავლები 247.6 ათასი ლარით გაზრდილად არის წარდგენილი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხულ 1.5 მლნ ლარის ოდენობის ძირითად აქტივებზე არ არის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის ნორმები და შესაბამისად, არ არის დარიცხული ცვეთა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ზოგიერთი სსიპ-ის მიერ გამოყენებული იყო ცვეთის დარიცხვის არასწორი პოლიტიკა და შეუსაბამო საამორტიზაციო ანარიცხები. მაგალითად, სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ ცვეთის დარიცხვა არ წარმოებს თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქ. N52-ში მდებარე 4.2 მლნ ლარის ისტორიული ღირებულების მქონე შენობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში წინა წლების კორექტირება 1.6 მლნ ლარის ოდენობით არასწორად იქნა აღიარებული ხარჯად, ასევე სსიპ – სატყეო სააგენტოს მიერ 1.3 მლნ ლარის ოპერაციები „საქონელი და მომსახურების“ ნაცვლად, გატარებულ იქნა „სხვა ხარჯის“ მუხლით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსური აუდიტი

თავდაცვის სამინისტროში „დაუმთავრებელ ძირითად აქტივებად“ არასწორად არის კლასიფიცირებული 2.6 მლნ ლარის დასრულებული აქტივები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

საგარეო საქმეთა სამინისტროში 6.8 მლნ ლარის ოპერაცია არასაოპერაციო შემოსავლების ნაცვლად შეცდომით აღიარდა გრანტის სახით მიღებული შემოსავლის სახით, ხოლო 4.5 მლნ ლარის ოპერაცია „სხვა ხარჯების“ ნაცვლად გატარდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ აქვს აღრიცხული აქტივებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვალდებულებათა დროულად და ჭეროვნად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 112.8 მლნ ლარს შეადგენს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებულ და მისი კონტროლირებადი ერთეულების ანგარიშგებებში 1 მლნ ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივის აფასება წარდგენილი იყო არასწორად. მაგალითად, გამოტოვებული იყო ინფორმაცია 212 ათასი ლარის არაფინანსური აქტივების მიღებასა და 174 ათასი ლარის არაფინანსური აქტივების გასვლასთან დაკავშირებით.

შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში მნიშვნელოვანი ხარვეზებია იდენტიფიცირებული ეფექტიანი კონტროლის გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით. კერძოდ, გამოვლენილია ისეთი სისტემური ნაკლოვანებები, როგორებიცაა:

- დეტალური პროცესების და პროცედურების არქონა;
- IT და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემების არქონა ან/და გაუმართაობა;
- ხარვეზები ფინანსური ოპერაციების სათანადო დოკუმენტირებასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია საწყობებში 2018 წელს ხე-ტყის მოძრაობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ. სათანადო კონტროლის მექანიზმები აქტივების დაცვასა და განკარგვასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში არ არის დანერგილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო, დაახლოებით, 48.3 მლნ ლარსა და 49.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლის მიზნით შერჩეულ 10 კონტრაქტორთან დაკავშირებით, სააგენტომ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები აღნიშნული კონტრაქტორებისგან თანხების მიღებისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ფინანსური აუდიტი

2018 წელს სსიპ – სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 93.4 მლნ ლარს შეადგენს. შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებულ კონტროლის მექანიზმები ხარვეზებით ხასიათდება. რიგ შემთხვევებში, შემოსავლების აღიარება არ ხდება შესაბამის საანგარიშო პერიოდში. აუდიტის შედეგად, ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში იდენტიფიცირებულია 2017 წლის 308 ათასი და 2018 წლის – 148.7 ათასი ლარის შემოსავლის ტრანზაქცია, რომლებიც ასახულია, შესაბამისად, 2018 და 2019 წლებში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსური აუდიტი

თავდაცვის სამინისტროში, ზოგიერთ შემთხვევაში 2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, შრომის ანაზღაურება გაიცემა მინდობილობების საფუძველზე; ასევე გამოვლინდა ვადაგასული მინდობილობების საფუძველზე გაცემული ანაზღაურების შემთხვევები.

შესაბამისობის აუდიტის შედეგები

შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2019 წელს განხორციელებული შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლინდა საჯარო სექტორში შესყიდვების მართვის პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები. ნაკლოვანებები ვლინდება შესყიდვების თითქმის ყველა ეტაპზე და მოიცავს ხარვეზებს როგორც საწყის – საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბაზრის კვლევის, ასევე სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპებზე. აღნიშნული ნაკლოვანებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არაპროდუქტიული და არაეფექტიანი განკარგვის რისკებს.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისობის აუდიტი

ცალკეულ შესყიდვებში პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა პრეტენდენტი გამარჯვებულად ცხადდებოდა დაზუსტების მექანიზმის გამოყენების გარეშე, ხოლო არასათანადოდ დაზუსტებული წინადადების შემთხვევაში, პრეტენდენტს შემსყიდველი არ აძლევდა დისკვალიფიკაციას. ასეთი შესყიდვების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 5.7 მლნ ლარი.

ასევე, ელექტროსისტემის მიერ 2014-2015 წლებში „ჯვარი-ხორგისა“ და „ქსანი-სტეფანწმინდის“ გადამცემი ხაზების პროექტირებისა და მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, გადამცემი ხაზების მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2016 („ჯვარი-ხორგა“) და 2017 წლებში („ქსანი-სტეფანწმინდა“), თუმცა პროექტის განხორციელების დროს წარმოქმნილმა პრობლემებმა გამოიწვია გადამცემი ხაზების მშენებლობის შეფერხება. კონტრაქტორების მოცდენის გამო ელექტროსისტემამ გადაიხადა 10.2 მლნ ლარის ჯარიმა. აღნიშნული ჯარიმის გადახდა გამოიწვია ხელშეკრულებების გაფორმების დროს კომპანიის მიერ არსებული რისკების არასათანადო შეფასებამ.

შპს „ო. ჩხობადის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკის ცენტრის» საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მონეტარული ზღვრის გაუთვალისწინებლად და ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, 17 მომწოდებლისგან შეძენილ იქნა 291 ათასი ლარის ღირებულების საქონელი/მომსახურება. შესყიდვის საგნის სპეციფიკაციის კონკრეტულ მოდელზე მორგებით შეიქმნა უკონკურენტო გარემო, რამაც განაპირობა ტენდერში მონაწილე ერთადერთი, სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების წარმომდგენი პირის გამარჯვება. აღნიშნულმა წარმოქმნა საჭარო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ფარგლებში, სატენდერო კომისიამ დაუსაბუთებლად არ გამოიყენა კანონმდებლობით გათვალისწინებული დაზუსტების მექანიზმი და დისკვალიფიკაცია მიანიჭა დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე კომპანიას, რითაც დაკარგა შესაძლებლობა შესყიდვის ფარგლებში მიეღო 80 ათასი ლარის ეკონომია.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი

საბაგრო გზის მშენებლობისას კომპანიამ მიმწოდებლისაგან დროულად არ მოითხოვა აუთვისებელი საავანსო თანხის დაბრუნება. შესაბამისად, დაკარგა ანგარიშზე არსებულ თანხაზე საპროცენტო სარგებლის მიღების შესაძლებლობა, 727 ათას ლარზე მეტი ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესაბამისობის აუდიტი

ალამბარი-გენითის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის დეპარტამენტის მიერ 2018 წელს

გადახდილია 1.9 მლნ ლარი. მოწვეული ექსპერტის დასკვნით დადგინდა შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობა და დანაკლისი, ჯამში – 888 ათასი ლარის ოდენობით.

წალკის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

წალკის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული თანხების არასწორად ასახვისა და ზედმეტად ანაზღაურების თავიდან აცილებას. კერძოდ, მერიის მიერ ვერ მოხერხდა ხარჯვების გამოვლენა შესყიდვის შესაბამის ეტაპებზე, რის შედეგადაც 10 ხელშეკრულების შემთხვევაში, მიმწოდებლებს ზედმეტად აუნაზღაურდათ, ჯამში – 97.1 ათასი ლარი.

ასევე მერიის მიერ გამოცხადებულ შესყიდვებზე რიგ შემთხვევებში სატენდერო მოთხოვნები განსაზღვრული იყო არაპროპორციულად, არ იყო განპირობებული აუცილებლობით და ხელს არ უწყობდა შესყიდვების კონკურენტულ გარემოში განხორციელებას. შედეგად, წალკის მუნიციპალიტეტმა დაკარგა, მინიმუმ, 197.7 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

გორის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 3 ხელშეკრულება, ღირებულებით – 1.4 მლნ ლარი. მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე. აღნიშნული ინვეს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურებას. კერძოდ, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა ზედმეტად აანაზღაურა 232 ათას ლარზე მეტი.



მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი კულტურის სახლისა და სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების პროექტების შესყიდვისას სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს, რაც მუნიციპალიტეტმა ვერ გამოავლინა. შედეგად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხარჯთაღრიცხვებში შევიდა არსებითი ცვლილებები, გაიზარდა მშენებლობის ღირებულება და მუნიციპალიტეტმა გასწია 340 ათასი ლარის ზედმეტი ხარჯი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

სატენდერო პროცესის არასწორად წარმართვის და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების გამო, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული თავდაპირველი ტენდერი შეწყდა, ხოლო ხელშეკრუდ გამოცხადებულ ტენდერში ხელშეკრულება გაუფორმდა კომპანიას, რომელიც იმავე სამუშაოებს ასრულებდა 423 ათასი ლარით მეტად, ვიდრე შეწყვეტილ ტენდერში დაბალი ფასის წარმომდგენი კომპანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფელ დამია-გეორაზში, მდინარე დებედაზე, ნაპირსამაგრი ობიექტის მოსაწყობად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 423 ათასი ლარი დაიხარჯა არაეკონომიურად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული 18 ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტის მერიამ არ დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნები და 305 ათასი ლარი ანაზღაურა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულად წარმოდგენისა და დაანგარიშების გარეშე, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

ხონის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 2017 წელს ტენდერი გამოაცხადა ქ. ხონში გზების მოასფალტების სამუშაოებზე. სატენდერო კომისიამ არასწორად განახორციელა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. საბოლოოდ, გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 193 ათასი ლარით აღემატებოდა არასწორად დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შემოთავაზებულ ფასს.

ასევე, ხონის მუნიციპალიტეტში დაზიანებულია და უხარისხოდ არის შესრულებული 6 ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული 520 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები ხარვეზების გამოსასწორებლად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

10 ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში დაუსაბუთებელი, არაპროპორციული მოთხოვნების დადგენის გამო, დაზუსტების გარეშე დისკვალიფიკაცია მიანიჭა დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტებს და ხელშეკრულება გააფორმა მაღალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტთან, რითაც მერიამ დაკარგა 119 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

ასევე, 2017-2018 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 23 ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი 5.2 მლნ ლარის ღირებულების ობიექტები დაზიანებულია და აღენიშნება ხარვეზები. კერძოდ, მოწყობილი გზის საფარი დაზარალებულია, შეინიშნება გრძივი და განივი ბზარები, ზედპირი უსწორმასწორო და ტალღოვანია, გზა გარკვეულ მონაკვეთებზე დამტვრეულია და სხვ.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის დადებული 10 ხელშეკრულებით, საერთო ღირებულება 1.7 მლნ ლარი, მიმწოდებელი კომპანიების მიერ გეგმა-გრაფიკი დარღვეულია ყველა შემთხვევაში, თუმცა მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია საჯარიმო სანქციები, რაც 360 ათას ლარზე მეტია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა ბეტონის საფარიანი გზების მოწყობაზე ტენდერის საშუალებით გააფორმა 37 ხელშეკრულება და დახარჯა 14.1 მლნ ლარი. ობიექტების დათვალიერებით გამოვლინდა სხვადასხვა ხარისხობრივი ხარვეზი 12 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებისათვის, რომელთა საერთო ღირებულება 6.2 მლნ ლარია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელდა კულტურის სახლის რეკონსტრუქციის სამუშაოები, ღირებულებით 1 მლნ ლარი. ხელშეკრულებების თანახმად, შესრულებულ სამუშაოებზე, მათი სახეობების მიხედვით, ვრცელდება გარანტია. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დაზიანებულია როგორც შენობის გარე ფასადი, ისე შიდა კედლები, ხოლო გათბობა-კონდიციონერების სისტემა, რომლის შეძენა-მონტაჟისთვის გადახდილია 191 ათასი ლარი, 2016 წლიდან (დამონტაჟების პერიოდი) არ ფუნქციონირებს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ასპინძის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში შესრულებული პროექტების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 7 ხელშეკრულების ფარგ-

ლებში მოწყობილი 2.8 მლნ ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი შესრულებულია უხარისხოდ და აღინიშნება სხვადასხვა დაზიანება.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2019 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგებით, აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა ისეთი სისტემური ხასიათის დარღვევები, როგორებიცაა, არსებული ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუმათავი სახსრები, აქტივების არაეფექტიანად გამოყენება და ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და სხვ.

ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის პერიოდში რაგბის კავშირის მიერ 23,591 კვ.მ 4 მიწის ნაკვეთის რეალიზაცია განხორციელებულია არაკონკურენტულ გარემოში, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის, შეფასებისა და შესაბამისად საბაზრო ღირებულების დადგენის გარეშე. აღნიშნულმა განაპირობა მოცემულ უძრავ ქონებაზე არასაბაზრო გარიგების ფასის ჩამოყალიბება, რის შედეგად დაიკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედ საწარმოებში საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

14-მა საწარმომ ფინანსური შედეგი დაასრულა 5.8 მლნ ლარის ზარალით, ხოლო 7 საწარმო არ ფუნქციონირებს და მათ საკუთრებაში არსებული აქტივების ძირითად ნაწილზე მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობაში მყოფი, ჯამში – 10 საწარმოს ფინანსური შედეგების გაუარესების თავიდან აცილების და მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არ



გატარდა კონკრეტული ღონისძიებები. შედეგად, დადგა გადახდისუნარობის და გაკოტრების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 4.4 მლნ ლარის შესაძლო ზიანის წარმოშობის წინაპირობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი

სამინისტროსა და მერიაში არ არის უზრუნველყოფილი ქონების ზუსტი საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების განსაზღვრა, რაც ქონების არასრულყოფილ შეფასებებსა და საბაზრო ღირებულების გაუთვალისწინებლობაში გამოიხატება. გარდა ამისა, ექსპერტის მიერ დადგენილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების უსაფუძვლოდ შემცირებისა და აუქციონზე კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, საბაზრო ფასთან მიმართებით, ჯამში, სავარაუდოდ, 5.6 მლნ ლარით ნაკლები თანხით განხორციელდა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული ქონების მოიჭარეებისათვის დადგენილი ფასები არაგონივრულად დაბალია. კერძოდ, 1 კვ.მ-ის წლიური ფასი მერყეობს 30 თეთრიდან 25 ლარამდე (უმეტესობა 16 ლარი). ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ საბაზრო ფასები მნიშვნელოვნად აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ ფასებს.

შპს „ავტოტრანსსერვისის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ბიზნესგადაწყვეტილებების (გეგმების) შეუსრულებლობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს (დამფუძნებლის) მხრიდან სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის შედეგად, აუდიტის ფარგლებში გამოვლინდა 78.6 ათასი ლარის ღირებულების მოძრავი ქონების არადანიშნულებით გამოყენებისა და ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების (71 ათასი ლარი) არამიზნობრივი ათვისების ფაქტები.

საბიუჯეტო რესურსის მართვასთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებები

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი საბიუჯეტო რესურსების მართვის ხარვეზები მოიცავს საჭარო უწყებების მიერ ბიუჯეტის არარაციონალურად და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებს.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისობის აუდიტი

კომპანია ანაზღაურებს თანამშრომელთა მივლინების ადგილზე ტრანსპორტის დაქირავების და როუმინგის ხარჯებს. 2014-2017 წლებში როუმინგული მომსახურებისათვის ელექტროსისტემის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 227 ათას ლარს. მათ შორის, მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველის როუმინგული მომსახურებისთვის ელექტროსისტემამ გადაიხადა 157 ათასი ლარი. ყურადღებას იქცევს 2014 წლის აგვისტოში რეაბილიტაციის მმართველის როუმინგულ მომსახურებაში, ხუთ დღეში გადახდილი 29.3 ათასი ლარი, რაც შეუსაბამოდ მაღალ, არაგონივრულ ხარჯს წარმოადგენს.

ასევე, 2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ ცალკეულ შემთხვევებში სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გარეშე, რისთვისაც აუდიტის პერიოდში დაჭარილებულია 25-ჯერ, ჯამში – 69.4 ათასი ლარით, საიდანაც 40.1 ათასი ლარი განმეორებითი სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმია.

შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი

ურევის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ექსპლოატაციაში შესვლა დაყოვნდა კომპანიის მიზგებით, რის გამოც კონტრაქტორს აუნაზღაურდა დაუსრულებელი ობიექტის მოვლა-შენახვისათვის 210 ათასი აშშ დოლარი.

ამასთანავე, ქუთაისის, ანაკლიისა და ფოთის წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მონყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, 2018 წელს კომპანიამ გადაიხადა კონტრაქტორის მიერ კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის თანხა – 295 ათასი ლარის ოდენობით, რაც ხელშეკრულების თანახმად, უნდა ანაზღაურებულიყო არა კომპანიის, არამედ კონტრაქტორის მიერ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესაბამისობის აუდიტი

დეპარტამენტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტით განეულ მომსახურებაზე გამოყენებული ტექნიკის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, ხოლო მიმწოდებელს ხელშეკრულებაში მითითებული ტრანსპორტით, დეპარტამენტისთვის მომსახურება არ განუხორციელებია, რაც წარმოშობს მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული მომსახურების შესრულებლობის და ბიუჯეტიდან გადახდილი 378 ათასი ლარის არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2017-2018 წლების ბოლოს მერიას აუთვისებული დარჩა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე. კერძოდ 2017 წლის ბოლოს ნაშთის სახით ირიცხება – 2.9 მლნ ლარი, 2018 წლის ბოლოს კი – 8.2 მლნ ლარი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დაგეგმილი პროექტების დროულად განხორციელება, ასევე საბიუჯეტო შემოსავლებისა და გადასახდელების სათანადოდ დაგეგმვა. შედეგად, მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა მნიშვნელოვანი ოდენობის საბიუჯეტო რესურსი. კერძოდ, 2017 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ნაშთმა შეადგინა 4 მლნ ლარი. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა დაგეგმა აღნიშნული თანხის გამოყენება, თუმცა ორივე წელს ნაშთის მოცულობა გაიზარდა და 2019 წლის დასაწყისში 5.5 მლნ ლარი შეადგინა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2018 წელს მუნიციპალიტეტმა მის მიერ დაფუძნებული 12 ა(ა)იპ-ის დაფინანსებაში დახარჯა 7.8 მლნ ლარი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ებში მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობები ზოგიერთ შემთხვევაში დუბლირებულია, ხოლო ზოგიერთი მოსამსახურე პრაქტიკულად არ არის ფუნქციურად დატვირთული. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა ობიექტური საჭიროებით იყო განპირობებული ა(ა)იპ-ებში ზოგიერთი შტატის არსებობა.

უფაქტიანობის აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგებისა და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჭარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას.



სამსახურის სტრატეგიული მიზანია ეფექტიანობის აუდიტების წილის ზრდა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. 2019 წელს სამსახურმა ჩაატარა 15 ეფექტიანობის აუდიტი, რაც 25%-ით მეტია 2018 წელთან შედარებით. ასევე გაიზარდა ეფექტიანობის აუდიტების წილი ჯამურად ჩატარებულ აუდიტებში, 13%-დან 21%-მდე.

2019 წელს ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი შედეგებია:

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენს სისტემის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე.



აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: 2018 წლის მონაცემებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ 21%-ია უზრუნველყოფილი მანდატურის სამსახურით. ამავე დროს, ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდება 1,161 (50%) სკოლა, სადაც არ არის მანდატური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ვიდეოკამერები.

მიზგეზი: სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს აუდიტის პერიოდისთვის არ ჰქონდა შემუშავებული სკოლებში მანდატურის განაწილების კრიტერიუმები. სკოლებში მანდატურის

განაწილებისას არ იყო გათვალისწინებული მოსწავლეთა რაოდენობა და დარღვევების სტატისტიკა სკოლაში. აუდიტის პერიოდში მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებში მანდატურების განაწილებისას არ იყო გათვალისწინებული ისეთი ხარისხობრივი კრიტერიუმები, როგორებიცაა, სკოლებში დაფიქსირებული მოსწავლეთა შორის ინციდენტები და არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა.

რეკომენდაცია: სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასდეს გარემო და მოხდეს მანდატურის რესურსის პროდუქტიული განაწილება.

მიგნება 2: 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 66,371 მასწავლებელი, რომელთა 87%-ს არ აქვს გავლილი ტრენინგი სამოქალაქო და უსაფრთხოების მიმართულებით, ხოლო სამოქალაქო განათლების 4,630 მასწავლებლიდან, ტრენინგი გავლილი აქვს 1,085 მასწავლებელს, ანუ მხოლოდ 23%-ს.

მიზგეზი: ტრენინგები 2018 წლამდე ხორციელდებოდა მხოლოდ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის, ხოლო 2018 წლიდან სხვა საგნის მასწავლებლებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი. თუმცა, ტრენინგი არის ნებაყოფლობითი და მასწავლებლებს არ აქვთ მისი გავლის ვალდებულება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს არ აქვს შემუშავებული კონკრეტულ პერიოდზე გათვლილი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც განხორციელდებოდა მასწავლებელთა მთლიანი კონტინგენტის ეტაპობრივი გადამზადება სამოქალაქო განათლების, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებებით.

რეკომენდაცია: უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად, მასწავლებელთა სრული კონტინგენტის უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით ეტაპობრივი გადამზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განისაზღვროს კონკრეტული ვადები.

სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანობის აუდიტი

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, სადაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოსახლეობაში და განსაკუთრებით, მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და პრინციპების დამკვიდრება. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „თბილისი 2015“-ის ფარგლებში რეაბილიტირებული და ახლად აშენებული სპორტული ინფრასტრუქტურის შემდგომი გამოყენებისთვის განხორციელებული ღონისძიებები.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სამინისტროს არ გააჩნია სამოქმედო გეგმა ფესტივალის ფარგლებში აშენებული და რეაბილიტირებული სპორტული ობიექტების შემდგომი გამოყენების შესახებ. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული კონკრეტული მიზნები, მათი მიღწევის მექანიზმები და შეფასების ინდიკატორები, რაც ხელს შეუწყობს ობიექტების პროდუქტიულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

მიზგები: არ არის შემუშავებული სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის სისტემური მიდგომა და შესაბამისი სამოქმედო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს რესურსის ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას და ხელს შეუწყობს სისტემის მდგრად განვითარებას.

რეკომენდაცია: სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მდგრად განვითარებას.

პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, სამინისტროს ჩართულობით შემუშავდეს სამოქმედო გეგმა თითოეული სპორტული ობიექტის შემდგომი გამოყენების შესახებ. შეფასდეს მათი საბაზისო მდგომარეობა, განისაზღვროს კონკრეტული მიზნები და მათი მიღწევის მექანიზმები, რაც ხელს

შეუწყობს ობიექტების პროდუქტიულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

მიგნება 2: სპორტული ობიექტების შემოსავლები არასტაბილურია და გარკვეულ შემთხვევებში კლებადი ტენდენციით ხასიათდება. გარკვეული სპორტული ობიექტის ფუნქციონირების შედეგად განეული ხარჯი აჭარბებს მიღებულ შემოსავალს, ხოლო რიგ შემთხვევებში, ფუნქციონირებით მიღებული შემოსავალი უმნიშვნელოდ ფარავს ხარჯებს, მაშინ როდესაც მოცემული მიმართულებები სპორტის ერთ-ერთი მოთხოვნადი სახეობაა ბაზარზე.

სპორტული ობიექტების დატვირთვის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და შესაბამისად, ფიქსირდება მიუღებელი შემოსავალი. 2019 წლის მდგომარეობით, გარკვეული სპორტული ობიექტები საშუალოდ დატვირთულია არსებული რესურსის 16%-ით, რაც დარბაზების არაპროდუქტიულ გამოყენებაზე მიუთითებს.

მიზგები: სამინისტროსა და მმართველი ორგანიზაციების მიერ არ არის შემუშავებული სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, მმართველი ორგანიზაციის მხრიდან არ ხორციელდება სპორტული ობიექტების მიხედვით მოსარგებლე ფიზიკური პირების აღრიცხვა, შესაბამისად, დარბაზების დატვირთვის შეფასება და ანალიზი. სპორტული დარბაზების დაბალი დატვირთვის მაჩვენებელი ასევე განპირობებულია პროგრამებისა და ღონისძიებების არარსებობით, რაც დატვირთვის მაჩვენებლის ზრდის შესაძლებლობას შექმნიდა.

რეკომენდაცია: მოგების ზრდისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოსახლეობის ჩართვის მიზნით მნიშვნელოვანია, თითოეული სპორტული ობიექტის მიხედვით შემუშავდეს სპორტული პროგრამები მომხმარებელთა სეგმენტების გათვალისწინებით, ბაზარზე განხორციელდეს შემქნილი პროდუქტების სწორი პოზიციონირება და განისაზღვროს დატვირთვისა და მოგების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები წლების მიხედვით.



საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანობის აუდიტი

გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხიანი საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე და გზების შეკეთებაზე დახარჯული სახსრების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზების მოვლა-შეკეთებისა და რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: გზების მართვის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით შედგენილი შესაკეთებელი გზების სია საბოლოოდ ზუსტდება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, ისე, რომ ცვლილებები სათანადოდ არ არის დოკუმენტურად დასაბუთებული. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რამდენად ოპტიმალური იყო შესაკეთებელი გზების სიის კორექტირებასთან დაკავშირებით საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მიზგზი: არ არსებობს შესაკეთებელი მონაკვეთების შერჩევის დამტკიცებული მეთოდოლოგია.

რეკომენდაცია: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაგეგმვის ეტაპის გაუმჯობესების მიზნით, განეროს და ოფიციალურად დაამტკიცოს შესაკეთებელი გზების შერჩევასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, სადაც გათვალისწინებული იქნება გეგმაში შესული გზების დეტალური დასაბუთების საკითხები.

მიგნება 2: გზების მოვლა-შეკეთებასთან დაკავშირებული ტენდერების გამოცხადებისას, სავარაუდო სახელშეკრულებო ღირებულებები დეპარტამენტმა განსაზღვრა, დაახლოებით, 200 მლნ ლარის ოდენობით. სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო 3 წლის განმავლობაში, თუმცა 2 წე-

ლინაში კონტრაქტორებს შემოაღნიშნული თანხის 86% უკვე ათვისებული ჰქონდათ. შედეგად, საჭირო გახდა 2019 წლისათვის კონტრაქტორების მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი სახსრების მობილიზება.

მიზგზი: აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს ზედამხედველი კომპანიისა და დეპარტამენტის მიერ არასათანადოდ განხორციელებული კონტროლით.

რეკომენდაცია: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ხელშეკრულებების ვადაზე ადრე ათვისების თავიდან აცილების მიზნით, დანერგოს ადეკვატური კონტროლის მექანიზმები.

მიგნება 3: საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ ფლობს განახლებულ, ყოველდღიურ სანდო ინფორმაციას ზედამხედველების მიერ განხორციელებული შემონმებების შესახებ.

მიზგზი: დეპარტამენტს არ აქვს დანერგილი ზედამხედველის გადამონმების ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი. ასევე, არ ითხოვს ზედამხედველისგან მათი თანამშრომლების მიერ შემონმებებზე ყოველდღიური გასვლის დამადასტურებელი მონაცემების წარმოდგენას.

გარდა შემოაღნიშნულისა, არსებობს ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელოვანი რისკი ზედამხედველი კომპანიების საქმიანობასთან მიმართებით, რადგან ზედამხედველების ანაზღაურება პირდაპირ დაკავშირებულია კონტრაქტორი კომპანიებისთვის მათ მიერ დადასტურებული სამუშაოების მოცულობასთან. 2014-2018 წლებში საზედამხედველო მომსახურებაზე დახარჯულია 27 მლნ ლარზე მეტი.

რეკომენდაცია: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის, ზედამხედველი კომპანიის მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემონმების და პროცესში ჩართულ მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ან დანერგოს ახალი კონტროლის მექანიზმები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მნიშვნელოვანი რაოდენობისა და ღირებულების უძრავ ქონებას ფლობს. სამინისტროს სპეციფიკიდან, ასევე ქონების ღირებულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არსებობდეს ქონების მართვის სტრატეგია და აქტივების გამოყენება ხდებოდეს სახელმწიფოებრივი და ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად ეკონომიურად და ეფექტიანად ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: თავდაცვის სამინისტროს ქონება თავისი განლაგებით, პარამეტრებითა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლებით, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არ იყოს შესაბამისობაში იმ საჭიროებებთან და მიზნებთან, რაც თავდაცვის უწყებას გააჩნია. ასეთ პირობებში, სამინისტროში ვერ ხერხდება თავდაცვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო ქონების სწორად იდენტიფიცირება. ინფრასტრუქტურის განვითარების და უძრავი ქონების მართვის სტრატეგიული გეგმის არარსებობის გამო, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელია. ზოგიერთ შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსგან უკან ითხოვს იმ ქონებას, რომელიც თავადვე გადასცა შემდგომი განკარგვის მიზნით.

მიზგზი: სამინისტროში არ არსებობს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაცია: საქართველოს თავდაცვის ძალების ინტერესების/საჭიროებების გათვალისწინებით, ქონების მართვის რაციონალური პროცესის უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ დააჩქაროს თავდაცვის ძალების ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბალანსზე რიცხული ქონების მართვის სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს:

- სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან ან სხვა სახელმწიფო უწყებებისგან

ქვეყნის თავდაცვის საჭიროებებისათვის აუცილებელი ქონების გადმოცემას;

- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, ქონების იმ ნაწილის შემდგომი განკარგვის გზების და მეთოდების შემუშავებას, რომლებიც არ არის საჭირო სამინისტროსთვის და გადასაცემია სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის.

მიგნება 2: ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს სამინისტროს ბალანსზე რიცხული საბინაო ფონდის პრივატიზების პროცესი (მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის ბინების საკუთრებაში გადაცემა) და თითქმის არ მიმდინარეობს საბინაო ფონდის აღდგენა. შესაბამისად, სამსახურებრივი სარგებლობისთვის არსებული ბინების რაოდენობა მცირდება. სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უდიდესი ნაწილი პრივატიზებულია, არაპრივატიზებული ბინების მნიშვნელოვანი ნაწილი არაკანონიერად არის დაკავებული სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების მიერ. გარდა ბინებისა, სახელმწიფო ქონებით არაკანონიერი სარგებლობა ზოგიერთ შემთხვევაში ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის უძრავ ქონებაზეც (მაგალითად, მიწები).

სახელმწიფო უწყებებში არ არსებობს იმ პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომლებმაც არასანქცირებული გზებით დაიკავეს სახელმწიფო ქონება და შემდგომში სხვადასხვა გზით საკუთრებაში მიიღეს სახელმწიფოს კუთვნილი აქტივები. აგრეთვე არ არსებობს იმ პირთა მონაცემები, რომელთაც უკვე აქვთ მიღებული სახელმწიფოსგან ქონება უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად. ზემოაღნიშნული წარმოშობს რისკებს, რომ კონკრეტულმა პირმა რამდენჯერმე შეძლოს სახელმწიფო უწყებიდან სხვადასხვა ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

მიზგზი: კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

რეკომენდაცია: სხვადასხვა პირის მხრიდან სახელმწიფო ქონების უკანონოდ მითვისების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრო



ტროს ინიციატივით საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საინფორმაციო ბაზის შექმნა იმ მოქალაქეთა შესახებ, რომელთაც უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად, ერთხელ მაინც აქვთ საკუთრებაში მიღებული სახელმწიფო ქონება.

საბინაო ფონდის არაკანონიერი დაკავების, გამოყენების აღკვეთის მიზნით, სამინისტრომ:

- შეისწავლოს სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა კერძო პირების მიერ სამსახურებრივი ბინების უკანონოდ დაკავების თითოეული ფაქტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც სამხედრო მოსამსახურეები სამსახურის დატოვების შემთხვევაში დროულად ჩააბარებენ სამინისტროს საცხოვრებელ ბინას.

მიგნება 3: თავდაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე მოქმედი და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინის სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ. თუმცა, აღნიშნული კრიტერიუმები არასრულყოფილი და გაუმჭვირვალეა. შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებები სუბიექტურ განსჯაზე დამოკიდებული და დოკუმენტურად ვერ დგინდება, კონკრეტული გადაწყვეტილება კომისიის მიერ რომელი კრიტერიუმის შესაბამისად არის მიღებული.


მიგნები: შიდა კონტროლის ნაკლოვანებები.

რეკომენდაცია: საბინაო და საცაზარმე ფონდის ეფექტიანად მართვისა და სამხედრო მოსამსახურეების ბინით მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს საბინაო და საცაზარმე ფონდის მართვის სტრატეგიისა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის ბინის როგორც სამსახურებრივ სარგებლობაში, ისე საკუთრებაში გადაცემის გამჭვირვალე, ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა შემდგომ საქმიანობაში; ამ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება.

სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი

ორგანიზაციის განვითარებისა და მაღალპროფესიონალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა ტრენინგების გამართული სისტემის საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასწავლო ცენტრების საქმიანობა იყოს ეფექტიანი, ცენტრის ბენეფიციარების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული. აუდიტის შედეგად ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ საქმიანობაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანება და გაუმჯობესების პოტენციალი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:



მიგნება: აუდიტის ობიექტებში არსებობს სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლოვანებები. სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში არ არის ნათლად გაწერილი მიზნებთან შესაბამისი აქტივობები და შესრულების ვადები. ცენტრის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს შესაძლებლობების გამოვლენისა და შემოსავლების ზრდის პოტენციალის ანალიზს.

სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის 2015-2017 წლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული 6 მიზნიდან, 2 – ნაწილობრივ, ხოლო ერთი ვერ იქნა მიღწეული. 2018 წელს სტრატეგიული გეგმა არ შემუშავებულა.

მიზმი: ორგანიზაციების მიერ შესაბამის დონეზე ვერ ხერხდება არსებული ინფორმაციის ანალიზი, რაც ხელს უშლის რეალისტური მიზნებისა და ამოცანების დასახვას.

რეკომენდაცია: საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ორგანიზაციებმა შეიმუშაონ ქმედითი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეფუძნება რეალურ ინფორმაციაზე დაყრდნობილ მოლოდინებს.

წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო საგანგებო სიტუაციების მართვის ეფექტიანობის აუდიტების ჩატარება. სტიქიური მოვლენის მოხდენის ალბათობისა და მიყენებული ზარალის სიდიდისგან გამომდინარე, პირველ ეტაპზე განხორციელდა წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც ჩატარდა EUROSAI-ს კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის აუდიტის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. საქართველოსთან ერთად აღნიშნული აუდიტი განხორციელეს პოლონეთის, უკრაინის, სერბეთისა და სხვა ქვეყნების აუდიტორულმა ინსტიტუციებმა და ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლომ.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: ბუნებრივი კატასტროფის მართვა რთული და კომპლექსური პროცესია, რადგან მასში ჩართულია მრავალი უწყება, რომელთა კოორდინირებულ მუშაობაზე დამოკიდებული ეფექტიანობის მიღწევა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სუსტია კოორდინაციის მექანიზმები ჩართულ უწყებებს შორის.

2017 წელს ქვეყანაში პირველად დამტკიცდა „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“, რომლითაც განისაზღვრა რისკის შემცირების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და განხორციელების მექანიზმები. სტრატეგიის დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება-დამტკიცება ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა, თუმცა რისკის შემცირების სტრატეგიით არ არის გათვალისწინებული წყალდიდობის პრევენციისთვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. სამოქმედო გეგმა არასრულყოფილია, ხოლო გაწერილი ღონისძიებების მხოლოდ მცირე ნაწილი (16%) შესრულებული.

მიზმი: პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად მისაღებია მრავალი ნორმატიული აქტი. ამასთანავე, არ არის დამტკიცებული კოორდინაციის გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება უწყებების კომუნიკაციის საშუალებები და ინფორმაციის გაცვლის სტანდარტი. არ არის დადგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის განმარტებული უწყება.

რეკომენდაცია: სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემაში ჩართული უწყებების ეფექტიანი კოორდინაციისა და წყალდიდობების პრევენციის მიზნით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატმა შეიმუშაოს სისტემაში ჩართულ უწყებებთან კოორდინაციისა და კომუნიკაციის გეგმა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უწყებების დარეგულირებულ მუშაობას და ყველა შესაბამისი უწყების დროულ ინფორმირებას მათთვის საჭირო მონაცემებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია მეთოდოლოგიურად განისაზღვროს კომუნიკაციის საშუალებები, სიხშირე და ინფორმაციის გაცვლის სტანდარტი.



ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატ-მა განიხილოს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, დახვეწის შესაძლებლობა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქციების ზუსტად გამიჯვნის და ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყების დაკონკრეტების თვალსაზრისით.

მიგნება 2: სხვა ფაქტორებთან ერთად, წყალდიდობის გამომწვევ მიზეზია ჭალის ტყის ჭრა. აუდიტით გამოვლინდა, რომ მდინარეთა კალაპოტებსა და ხეობებში ტყის ჭრის აკრძალვის შესახებ არსებული რეგულაციები სათანადოდ არ სრულდება. შესაბამისად, ასეთ ზონებში მაინც ხორციელდება ტყის ჭრა, რამაც შესაძლოა წყალდიდობა და მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვიოს.

მიზეზი: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული არასაკმარისი ადამიანური რესურსით არის განპირობებული. გარდა ამისა, შესაბამისი ნორმატიული აქტებით ტყის საფარის აღდგენის ერთ-ერთ კრიტერიუმად წყალდიდობის და ზოგადად, სტიქიური მოვლენების რისკები არ არის გათვალისწინებული.

რეკომენდაცია: წყალდიდობის პრევენციული ღონისძიებების სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სტრატეგიული დოკუმენტები მოიცავდეს მდინარეთა ხეობებში ტყის საფარის აღდგენის ღონისძიებებს და აღნიშნულ საკითხს მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა არსებული რისკების გათვალისწინებით.

მიგნება 3: წყალდიდობის პრევენციის მიმართულებით, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჭარბი ურბანიზაცია მდინარეთა სანაპიროებზე, ხევებში, რაც ეფექტიან რეგულირებას საჭიროებს. არ არის დამტკიცებული სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის სქემა, რომელიც ადგენს მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლების საზღვრებს, სანაპირო ზონის დაცვის წესებს და განსაზღვრავს პრევენციულ ნაპირდაცვის ღონისძიებებს.

მიზეზი: წყალდიდობის შედეგების შერბილების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სანაპირო დაცვის ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს და სათანადო მონიტორინგის არსებობას, რომელიც გამოავლენს უკანონო მშენებლობებს. აღნიშნული, არსებული კანონდებლობით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს ევალება, თუმცა რეგულაცია ფაქტობრივად არ სრულდება, ხოლო დეპარტამენტს რეაგირების სამართლებრივი ბერკეტები არ გააჩნია. შესაბამისად, არსებობს საკანონმდებლო ვაკუუმი, რაც მშენებლობის ნებართვის გამცემ უწყებებს (მაგალითად, მუნიციპალიტეტებს) აძლევს უფლებას, უფრო ფართო მნიშვნელობის რისკების გაანალიზების გარეშე განახორციელონ სანაპირო ზონების ურბანიზაცია.

რეკომენდაცია: წყალდიდობების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია, ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, შესაბამისმა უწყებებმა ერთობლივად შეიმუშაონ და საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირონ მდინარის სანაპირო და ჭალის ზონებში მშენებლობის სტანდარტი. ნებართვის გაცემისა და მისი შემდგომი მონიტორინგის სტანდარტის შემუშავებისას, შეისწავლონ და გამოიყენონ საერთაშორისო პრაქტიკა. ასევე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს მომეტებული რისკის ზონებში უკვე გაცემული ნებართვების (განსაკუთრებით, ახლად გაცემული ნებართვების) გადახედვის საკითხის განხილვა-მოგვარებაზე მსჯელობას შესაბამის მუნიციპალიტეტებთან.

წყალდიდობების შედეგად მოსალოდნელი ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომეტებული საფრთხის შემცველ (მდინარის ჭალებში), უკვე განაშენიანებულ უბნებში მზადყოფნის ღონისძიებების დაუყოვნებლივ შემუშავება-განხორციელებას (ადრეული გაფრთხილების სისტემა, მოსახლეობის ინფორმირებულობა, საევაკუაციო შესაძლებლობების განსაზღვრა-განვითარება და ა.შ.).

ქ. თბილისის განაშენიანების პროცესის მართვის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. თბილისის განაშენიანების მართვის ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც შეეხო სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესს. აუდიტმა შეაჯამა სამშენებლო ნებართვების სტატისტიკა, ასევე შეისწავლა შესაბამისობისა და ეფექტიანობის საკითხები. პირველი მიმართულებით აუდიტმა დაფარა 2011-2018 წლები, ხოლო მეორე მიმართულებით – 2016-2019 წლები.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სუსტი ადმინისტრირების შედეგად, დედაქალაქის ბიუჯეტმა, დაახლოებით, 50 მლნ ლარის მოსაკრებელი ვერ მიიღო.¹³ მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იყენებდა კანონით მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას და მენაშენებს მოსაკრებლის გადასახდელად ერთნაირ საშელავათო პერიოდს უწესებდა. თუმცა, მოსაკრებლის გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი არ ატარებს შესაბამის ზომებს მოსაკრებლის ამოღების მიმართულებით.

მიზეზი: მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს ნებართვის გაცემის დროს წარმოშობილი მოსაკრებლის ვალდებულების რეესტრს. კერძოდ, მას არ აქვს კონსოლიდირებული ინფორმაცია კონკრეტულ ნებართვებზე არსებული დავალიანებისა და გადახდის გრაფიკების შესახებ. შედეგად, დედაქალაქის მერიას არ აქვს ქმედითი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს დავალიანების მქონე მენაშენების იდენტიფიცირებას და მოსაკრებლის ამოღების ღონისძიებების გატარებას.

რეკომენდაცია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა დააზუსტოს ინფორმაცია სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობისა და გადახდის ვადების შესახებ, შეიმუშაოს მოსაკრებლის დადგენილ ვადებში მიღების კონტროლის ქმედითი

თი მექანიზმები, ასევე მიიღოს შესაბამისი ზომები არსებული დავალიანების ამოღების მიზნით.

მიგნება 2: შენობების ურთიერთგანთავსების მოქმედი წესები ვერ უზრუნველყოფს შენობებს შორის სათანადო დისტანციის დაცვას, რაც მოსახლეობას უზღუდავს ბუნებრივ განათებას, ვენტილაციასა და პირად სივრცეს. რეგულაციები სათანადოდ არ ითვალისწინებს შენობების მახასიათებლებს – სიმაღლეს, განლაგებას და ა.შ. აღნიშნული მახასიათებლების გაუთვალისწინებლობა კი კრიტიკულად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საცხოვრებელი გარემოს ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

მიზეზი: დედაქალაქისათვის მოქმედი რეგულაციები საშუალებას იძლევა შენობები აშენდეს ერთმანეთთან რეკომენდებულზე უფრო ახლოს. აუდიტის პერიოდში მიღებულ იქნა ახალი ნორმა,¹⁴ თუმცა მისი მოქმედება აღნიშნული მიმართულებით დედაქალაქზე დროებით არ ვრცელდება.

რეკომენდაცია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების დაშორების/ურთიერთგანთავსების წესების შემუშავება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება აღნიშნულ სფეროში დამკვიდრებულ უკეთეს პრაქტიკასთან და ხელს შეუწყობს ხარისხიანი საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას.

ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ქვეყნის ანტიკორუფციული გარემო, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ შექმნილი მექანიზმები და განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ინსტიტუციურ დონეზე კორუფციული რისკების პრევენცია-შემცირებისკენ.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება: ანტიკორუფციული სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში, ანტიკორუფციული საბჭოს მიერ რისკის შეფასება სრულად არ მოიცავდა საჯარო

¹³ მოსაკრებელი სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისათვის, რომელიც მენაშენებს უნდა გადაეხადათ კ2 კოეფიციენტის ზრდის შემთხვევაში.
¹⁴ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.

სექტორს. კერძოდ, 2015 წლისთვის ქვეყანაში არსებული 16 სამინისტროდან, ანტიკორუფციული საბჭოს წევრი¹⁵ იყო მხოლოდ 8. შესაბამისად, ანტიკორუფციული საბჭოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის¹⁶ შედგენის პროცესში, არაწევრი სამინისტროების მიერ მათი მმართველობის სფეროში არსებული რისკების შეფასება და საბჭოსთან კომუნიკაცია არ შემდგარა.

კორუფციული დანაშაულის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო გამოითხოვს საჭიროების მიხედვით. შედეგად, არ იწარმოება კორუფციული დანაშაულის შესახებ რეგულარულად განახლებადი, სრული და ერთგვაროვანი სტატისტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ მხარეებს გაეანალიზებინათ კორუფციული დანაშაული სხვადასხვა ჯრილში (რეგიონული, უწყებრივი და თანამდებობრივი განილება, გამოძიების მაჩვენებელი და სხვ.).

მიზეზი: აუდიტის პერიოდში არ იყო დასრულებული რისკის შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობდა რისკის შეფასებაში ჩართულ მხარეებს კორუფციული რისკების ერთგვაროვნად შეფასებაში.

რეკომენდაცია: მაქსიმალურად ქმედითი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს ქვეყანაში კორუფციის პრევენციის მხრივ არსებულ


გამოწვევებს, იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის, სამინისტროების) ჩართულობა და სათანადო კოორდინაცია, რაც გულისხმობს:

- მათ მონაწილეობას რისკის შეფასების პროცესში;
- სხვადასხვა უწყების მიერ შეგროვებული სტატისტიკის პროაქტიურ გამოყენებასა და ანალიზს სამოქმედო გეგმის შედგენისას.

საჯარო სექტორში რისკის სრული და ერთგვაროვანი შეფასების მიზნით, უზრუნველყოს რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, დამტკიცება და მისი დანერგვა პრაქტიკაში, ასევე ანალიტიკური კვლევების განხორციელება.

შშმ პირების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი

სსიპ – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის¹⁷ შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 19%-ს (720 ათასამდე ადამიანს) აქვს თვითმომსახურების, კომუნიკაციის, კონცენტრირების, გადაადგილების, სმენის ან/და მხედველობის გარკვეული დარღვევები, თუმცა უცნობია, მათგან რამდენია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.



¹⁵ საბჭოს წევრებით კომპლექტდება თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ სტრატეგიულ პრიორიტეტებს, მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში.
¹⁶ აღნიშნული მიგნება აქტუალურია შემდგომი პერიოდის პოლიტიკის დოკუმენტებისთვისაც. მაგალითად, 2019 წელს მოქმედი 11 სამინისტროდან საბჭოს წევრია 8 სამინისტრო.
¹⁷ საყოველთაო აღწერის ფარგლებში შემუშავებული კითხვარი, რომელზეც უპასუხებენ ეფუძნება რესპონდენტის თვითშეფასებას, გამომდინარეობს გაეროს სტატისტიკის კომისიის Washington Group on Disability Statistics მეთოდოლოგიიდან.
¹⁸ გრაფიკში მოცემული რაოდენობა არ ჯამდება 720 ათას ადამიანზე, რადგან პირს შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე შეზღუდვა და შესაბამისად, რამდენჯერმე მოხვდეს სტატისტიკაში.

შპმ პირების უფლებების რეალიზების ხელშეწყობა სახელმწიფოს საქმიანობის მრავალ მიმართულებას მოიცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სამინისტროს როლი შპმ პირთა ხელშეწყობი სოციალური პოლიტიკის/პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, რისთვისაც აუცილებელი წინაპირობაა ისეთი საბაზისო ინფორმაციის არსებობა, როგორცაა, შპმ პირთა რაოდენობა, მათი შეზღუდვები და საჭიროებები. ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს არსებული პროგრამების ხელმისაწვდომობა მომსახურების მინიმალური ხარისხის სტანდარტების დაცვით.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება: შპმ პირთა სტატუსის განსაზღვრის სამედიცინო მოდელის ფარგლებში შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები ვერ უზრუნველყოფს შპმ პირთა შესახებ სრულყოფილი და სათანადო ინფორმაციის წარმოებას. ასევე აღნიშნულ მოდელში არ აისახება სრული ინფორმაცია შპმ პირის დაავადების და ქმედობაუნარიანობის შეზღუდვების შესახებ.

მიგნები: სოციალური მოდელი დანერგილი არ არის, რაც სამინისტროს საშუალებას მისცემდა შპმ პირთა საჭიროებებზე ენარმოებინა ინდივიდუალური სტატისტიკა, ქვეპროგრამების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით. სამინისტროს მიერ მომზადებული ინფორმაცია მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღებ პირთა შესახებ ინფორმაციას შეიცავს. ამ მონაცემებში ვერ ხვდებიან ის პირები, რომლებზეც არ გაიცემა სოციალური პაკეტი (მაგალითად, ზომიერი შეზღუდვის მქონე შპმ პირები).¹⁹

ექსპერტიზის ფორმები არ შეიცავს ველს ყველა ქმედობაუნარიანობის შესახებ ინფორმაციის შესატანად. აღნიშნული ფორმების სრულყოფილად შევსების თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის მიერ შპმ პირთა ზოგიერთი სახის საჭიროების განსაზღვრა, რაც სპეციალურ კომპეტენციასა და უნარებს მოითხოვს.

რეკომენდაცია: საჭიროებებზე გათვლილი პოლიტიკის/პროგრამების სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

- შპმ პირთა რაოდენობის შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოების მიზნით, დანერგოს სამედიცინო დანესებულებებიდან ინფორმაციის მიღების მექანიზმი ყველა შპმ პირის შესახებ, რომლებმაც გაიარეს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა;
- უზრუნველყოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შედეგების ასახვის ფორმებში²⁰ ყველა ქმედობაუნარიანობის შეფასების კატეგორიის ველების არსებობა და მათი შევსება შესაფერისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალის მიერ.

სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემის ეფექტიანობის აუდიტი

საპენსიო სისტემის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის, სახელმწიფო ბიუჯეტში საპენსიო უზრუნველყოფის ქვეპროგრამის წილისა და ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პენსიის მართვის ინფორმაციული სისტემის გამართული ფუნქციონირება. ამიტომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის ფარგლებში შეისწავლა პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემა, მისი მმართველობისა და უსაფრთხოების არსებული პრაქტიკა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის გამართული პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, მნიშვნელოვანია 5 ძირითადი პრინციპის გათვალისწინება. აღნიშნული ითვალისწინებს მმართველობის სხვადასხვა დონეზე ერთიანი/კოორდინირებული მიდგომის

¹⁹ გარდა ბავშვობიდან ზომიერი შეზღუდვის სტატუსის მქონე პირებისა.
²⁰ 50/2 და 50/4.



არსებობას, მათ შორის: ინფრასტრუქტურისა და აპლიკაციების მხარდაჭერის, აგრეთვე ინფორმაციის მართვის გამართული პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესებში.

სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემა („პენსია 2005“) მოძველებულია და ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს სხვა სისტემებთან ინტეგრაციას. სისტემა არ არის ცენტრალიზებული, რაც გულისხმობს, რომ იგი დამოუკიდებლად არის დაინსტალირებული ყველა სამუშაო სადგურზე (პერსონალურ კომპიუტერზე). აქედან გამომდინარე, პენსიის ადმინისტრირების ბიზნესპროცესი არ არის პროდუქტიული და საჭიროებს ინტენსიურ, ხელით შესრულებულ პროცესებს, რაც თავის მხრივ, ზრდის მონაცემთა დამუშავების სიზუსტისა და სანდოობის რისკებს.

მიზმი: სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო იყენებს არაერთგვაროვან მიდგომას ინფორმაციული სისტემების განვითარების მიმართულებით. კერძოდ, სააგენტოს სისტემების კომპლექსურობისა და კრიტიკულობის გათვალისწინებით, სააგენტოს არ გააჩნია სტანდარტიზებული მიდგომა ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ბიზნესპროცესის გაუმჯობესების, პროდუქტიულობისა და საიმედოობის გაზრდის მიზნით, სააგენტომ, თავის მფლობელობაში არსებული სისტემებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს პენსიის ადმინისტრირების სისტემის განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პენსიის ადმინისტრირების სისტემის ცენტრალიზებული მართვის შესაძლებლობას და თავსებადობას სოციალური უზრუნველყოფის სფეროს სხვა სისტემებთან. ასევე უზრუნველყოს პენსიის ადმინისტრირების ეტაპების ავტომატიზაცია, რაც გულისხმობს მანუალურად (ხელით) ჩატარებული პროცედურების შემცირებას.

მიგნება 2: სააგენტოს, როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტს, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით ევალება ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შეს-

რულება. ამ მოთხოვნებს შორისაა, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის – სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების სისტემის ხელმისაწვდომობის (უნყველობის) უზრუნველყოფა. აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს ბიზნესის წყვეტის წინააღმდეგ და ბიზნესის კრიტიკული პროცესების დასაცავად მიმართული ქმედებების (კონტროლების) დანერგვას, რომელიც ინფორმაციული სისტემის მნიშვნელოვანი შეფერხების ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში უზრუნველყოფს ბიზნესპროცესის დროულ აღდგენას.

პენსიის ადმინისტრირების სისტემა („პენსია 2005“) დგას უწყვეტი ფუნქციონირების რისკის წინაშე, რომლის რეალიზების შემთხვევაში, სააგენტოს დასჭირდება არაპროპორციულად დიდი ძალისხმევა სისტემის ფუნქციონირების აღდგენისათვის.

მიზმი: საკანონმდებლო მოთხოვნის და სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების სისტემის მოძველებული პლატფორმის გათვალისწინებით, სააგენტოს არ აქვს შეფასებული სისტემის უწყვეტობასთან დაკავშირებული რისკები და დანერგული შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

რეკომენდაცია: სააგენტომ შეაფასოს სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკები და შეიმუშაოს ამ რისკების მოპყრობის გეგმა. აგრეთვე შეიმუშაოს სახელმწიფო პენსიის ბიზნესუნყველობისა და პენსიის ადმინისტრირების სისტემის კატასტროფიდან აღდგენის გეგმები, უზრუნველყოს ამ გეგმების პერიოდული ტესტირება და განახლება.

სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო ვალის მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორად განსაზღვრული ვალის მოცულობა სახელმწიფოს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდოს ზედმეტი ან ნაკლები ვალის აღება და მასთან დაკავშირებული დანახარჯები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება ქვეყანაში ვალის მართვის პროცესი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სხვადასხვა კანონის საფუძველზე განსაზღვრული ვალის განმარტებები არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან. კერძოდ, სხვადასხვა მიზნობრიობიდან გამომდინარე, კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო ვალისა და მთავრობის ვალის დეფინიციას, რომლებიც ეფუძნება სხვადასხვა ბაზისს. ამასთანავე, არცერთი განმარტება და მათ საფუძველზე დათვლილი ინდიკატორები არ იძლევა სრულ ინფორმაციას სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ.

მიზეზი: ვალის არსებული განმარტებებიდან სრულად არცერთი არ შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოში (GFSM 2014) მოცემულ სახელმწიფო სექტორის ვალს.

რეკომენდაცია: არსებული კანონმდებლობით, სხვადასხვა მიზნისათვის განსაზღვრული ვალის განმარტებები ფინანსთა სამინისტრომ შესაბამისობაში მოიყვანოს საჯარო ფინანსებისა და საჯარო სექტორის ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოებთან და უზრუნველყოს მათი ურთიერთთავსებადობა.

მიგნება 2: 2019 წლიდან როგორც სახელმწიფო, ასევე მთავრობის ვალის ნაშთში აღარ არის გათვალისწინებული ე.წ. „ისტორიული ვალი“, რომელიც „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით საშინაო ვალის შემადგენელი კომპონენტია. ამავდროულად, ეტაპობრივად ხორციელდება ისტორიული ვალის რიგი კომპონენტების დაფარვა, თუმცა მათი ჩამოწერა ისტორიული ვალის მოცულობიდან არ ხდება. 2018 წლის ჩათვლით, ბიუჯეტის შესაბამის დოკუმენტებში გათვალისწინებული იყო ისტორიული ვალის პირობითი მოცულობა – 672 მლნ ლარის ოდენობით. ისტორიული ვალის ამოღება ვალის მთლიანი მოცულობიდან, შეფასების ფორმალიზებული პროცედურის ჩატარების გარეშე, ამცი-

რებს საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სახელმწიფო ვალდებულებების ოდენობას და არაზუსტს ხდის მათ საფუძველზე გაანგარიშებულ ინდიკატორებს.

მიზეზი: ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, საშინაო ვალიდან „ისტორიული ვალის“ კომპონენტის ამოღება განაპირობა ამ ვალდებულებების მოცულობისა და მათი მფლობელების შესახებ დაუზუსტებელი ინფორმაციის არსებობამ.

რეკომენდაცია: ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს მიდგომა სახელმწიფოს წინაშე არსებულ ვალდებულებებში ისტორიული ვალიდან მომდინარე ვალდებულებების წარმოდგენის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი

2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტით გამოვლენილი ძირითადი მიგნებები უკავშირდებოდა ვალის მართვისათვის სხვადასხვა ინფორმაციული სისტემების (DMFAS²¹, DMNAT²², eDMS²³) გამოყენებით გამოწვეულ რისკებსა და ნაკლოვანებებს. 2019 წელს ჩატარებული შემდგომი რეაგირების აუდიტის შედეგად კვლავ აქტუალურია წინა აუდიტში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციების შესრულება.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემუშავებისა და მართვის პროცესში პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლის 4 ეტაპი²⁴ სათანადოდ არ ხორციელდება. სამინისტროში არ არსებობს ფორმალური დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა პროექტის დაწყებასთან დაკავშირებუ-

²¹ ინფორმაციული სისტემა გამოიყენება საგარეო ვალის, გადასესხებული კრედიტებისა და ვერობონდებისათვის.
²² ინფორმაციული სისტემა გამოიყენება საინვესტიციო პროექტებისათვის.
²³ ინფორმაციული სისტემა გამოიყენება საშინაო ვალის, პროექტების/პროგრამებისა და მიზნობრივი გრანტებისათვის.
²⁴ მიზნობრიობისა და საჭიროების ანალიზი, პროექტის შეფასებისა და სისტემის მხარდაჭერის/ამოღების ეტაპები.



ლი პირველადი მოკვლევის შედეგები. ასევე არ ყოფილა განსაზღვრული პროექტის შესასრულებლად საჭირო რესურსები და პოტენციური რისკები.

მიზგზი: აღნიშნული გამონვეული სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების განვითარებაში ჩართულ მხარეებს²⁵ შორის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების არასათანადოდ გადანაწილებით. კერძოდ, პროექტების მართვის სახელმძღვანელოში არ არის წარმოდგენილი რიგი პასუხისმგებლობები, რომლებიც შესაძლოა გადანაწილებული იყოს ფინანსთა სამინისტროზე.

რეკომენდაცია: სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების განვითარების ზედამხედველობა, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს დავალებების მომზადების კონტროლსა და დეველოპმენტის პროგრესის კონტროლს. მიზანშეწონილია, აღნიშნული როლი და შესაბამისი პასუხისმგებლობა გაინეროს პროექტების მართვის სახელმძღვანელოში.

მიგნება 2: eDMS სისტემის შემუშავების ტემპის შემცირებამ, ასევე გავლენა იქონია სისტემების ინტეგრაციის პროცესზე. კერძოდ, სამსახური ერთდროულად ახორციელებს ვალის მართვის სისტემის სხვადასხვა კომპონენტის განვითარებას და ვერ ხერხდება კონკრეტული მოდულების დასრულება. 2017 წელს eDMS სისტემაში დაიწყო DMNAT სისტემიდან მონაცემების მიგრაცია, რასაც DMNAT სისტემის სრულად ჩანაცვლება უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, eDMS-ში არსებული ფუნქციონალური ვერ უზრუნველყოფს ბიზნესპროცესის სრულყოფილად წარმართვას – eDMS სისტემას არ აქვს გამართული ანგარიშგების ფუნქციონალი.

მიზგზი: აღნიშნული განაპირობა პროექტის დეტალური დაგეგმვისათვის არასაკმარისი პროცედურების განხორციელებამ და მმართველი რგოლის მხრიდან ნაკლებმა ჩართულობამ. ამასთანავე, eDMS-ში სახელმწიფო ვალის ყველა კომპონენტის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა შეფასებული DMFAS სისტემის

ჩასანაცვლებლად საჭირო დამატებითი დროითი და საკადრო რესურსი.

რეკომენდაცია: სამინისტრომ განსაზღვროს eDMS სისტემის დასრულების თარიღი და უზრუნველყოს სახელმწიფო ვალის პორტფელის ინტეგრაცია ერთ სისტემაში.

კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი

ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ჭანსალი კონკურენციის არსებობა ხელს უწყობს ადგილობრივი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებას. შესაბამისად, აუდიტის სამსახურმა ჩაატარა კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სსიპ – კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნია კომპანიების შერწყმის გამოვლენის შესაძლებლობა და არც მისი გვერდის ავლით გაერთიანებული სუბიექტების განცალკევების საშუალება.

მიზგზი: მიუხედავად საკანონმდებლო მოთხოვნისა, რომელიც ავალდებულებს ეკონომიკურ სუბიექტებს, მოსალოდნელი შერწყმის შესახებ შეატყობინონ კონკურენციის სააგენტოს, შეუტყობინებლობის შემთხვევაში სააგენტოს არ გააჩნია არც აღმოჩენის და არც დაჯარიმების ქმედითი მექანიზმი. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილების მიხედვით, სააგენტოს ენიჭება იმ ეკონომიკური აგენტების დაჯარიმებისა და საჭიროების შემთხვევაში, განცალკევების²⁶ უფლებამოსილება, რომელთაც ევალეობად სააგენტოსთვის შეტყობინების წარდგენა.

რეკომენდაცია: ჭანსალი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტომ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლითაც უზრუნველ-

²⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი; სსიპ – საფინანსო ანალიტიკური სამსახური (ინფორმაციული სისტემების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი მხარე).

²⁶ სასამართლოსთან შუამდგომლობის საფუძველზე.

ყოფს კანონმდებლობით დაწესებულ ზღვარს ზემოთ ბრუნვის მქონე კომპანიების შერწყმის ფაქტების გამოვლენას, შესწავლასა და მათ პრევენციას, საქმიანობის ეფექტიანობის გასაზომად კი, შეაფასოს კონცენტრაციის შემდგომი გავლენა ფასებზე, მოცულობასა და ხარისხზე. მიზანშეწონილია, გაიმართოს მსჯელობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რაც კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებას გაზრდის კანონის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და უკანონოდ შერწყმული სუბიექტების განცალკევების მიმართულებით.

მიგნება 2: კონკურენციის სააგენტოს მიერ შესრულებული ბაზრის მონიტორინგის ანგარიშები სრულყოფილად არ ასახავს ყველა იმ შედეგს, რომელიც გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკებითა და ევროკავშირის რეკომენდაციებით.

მიზგზი: სააგენტო ბაზრის შესწავლას არ ახორციელებს რისკზე დაფუძნებული მიდგომით. შესაბამისად, მაღალია ისეთი სფეროების შესწავლის ალბათობა, სადაც შესაძლოა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ანტიკონკურენციული ქმედებები საერთოდ არ გამოვლინდეს ან მათი გავლენა იყოს უმნიშვნელო. ასევე არსებობს რისკი იმისა, რომ სააგენტოს ყურადღების მიღმა დარჩეს ისეთი ბაზრები, სადაც სათანადოდ არ არის დაცული კონკურენტული გარემო და მომხმარებელთა ინტერესები.

რეკომენდაცია: ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელების მიზნით, დაგეგმვის პროცესში სააგენტომ მიზანშეწონილია დანერგოს რისკზე დაფუძნებული მიდგომა და მასთან დაკავშირებით გაითვალისწინოს არსებული საუკეთესო პრაქტიკები, რაც ხელს შეუწყობს რესურსების რაციონალურ განაწილებასა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი

ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პერსონალური მონაცემების კანონშეუსაბამო დამუშავების საფრთხეებზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასებულიყო, რამდენად

ეფექტიანად ხორციელდება ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: 2013-2018 წლებში შემონმების (ინსპექტირების) წლიური გეგმა არ დამტკიცებულა. შესაბამისად, არცერთ ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების დასადგენად გეგმური შემონმება არ ჩატარებულა.

მიზგზი: წლის განმავლობაში სავალდებულოდ განსახილველი საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული, ამიტომ წლიური გეგმის შედგენა გართულებულია.

რეკომენდაცია: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, სასურველია შემუშავდეს ინსპექტირების წლიური გეგმა და განისაზღვროს პრიორიტეტული მაღალრისკიანი სფეროები, რომელთა შერჩევა დაფუძნებული იქნება შესაბამის კრიტერიუმებზე.

მიგნება 2: რიგ შემთხვევებში, დადგენილ საჭარიმო სანქციებს შემაკავებელი ეფექტი არ აქვს და ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში კანონდარღვევათა ჩადენის პრევენციას.

მიზგზი: არსებულ პირობებში მონაცემთა დამუშავებისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო გამართლებულია ერთჯერადად სანქციის გადახდა. აღნიშნულზე მიუთითებს წლის განმავლობაში განმეორებითი დაჯარიმების შემთხვევების სტატისტიკური მონაცემებიც.

რეკომენდაცია: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ჯარიმის, როგორც შემაკავებელი ეფექტის მქონე მექანიზმის ასამოქმედებლად, სამსახურმა საუკეთესო პრაქტიკებისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, იმსჯელოს საკანონმდებლო წინადადების მომზადებაზე.



საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეფორმაში მიღწეული პროგრესის აუდიტის ანგარიში

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ 2009 წელს აიღო ვალდებულება, რომ 2020 წლისთვის უზრუნველყოფდა საჯარო სექტორის აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან (სსბასს) შესაბამისობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რა ეტაპზეა სსბასს-ის დანერგვის პროცესი (პროგრესი) საქართველოში და რამდენად არის შესაძლებელი სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებში პროცესის დასრულება (მზადყოფნა).

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება: სსბასს-ის სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესის საზედამხედველო ღონისძიებები სათანადოდ არ განხორციელებულა.

მიგნები: საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, თუმცა საბჭო მოქმედებდა როგორც დამხმარე ორგანო და კანონმდებლობით არ გააჩნდა საზედამხედველო ფუნქციები. საბჭოს გადაწყვეტილებები დოკუმენტურად არ ფორმდებოდა და აქედან გამომდინარე, რთულია შეფასდეს მისი გავლენა იმპლემენტაციის პროცესზე.

რეკომენდაცია: წარმატებული იმპლემენტაცია მოითხოვს ეფექტიან მმართველობით პოლიტიკას. საქართველოს მთავრობამ უნდა გადახედოს იმპლემენტაციის პროცესში გასატარებელ საზედამხედველო ღონისძიებებს და უზრუნველყოს შემდეგი:

- საბჭოს უნდა მიენიჭოს სათანადო უფლებამოსილება იმპლემენტაციის პროცესის ზედამხედველობის განხორციელებლად და მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საბჭოს როლი, ამოცანები, პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულება;
- მნიშვნელოვანია განისაზღვროს მინიმალური

- მოთხოვნები საბჭოს საქმიანობისთვის, კერძოდ, სხდომების გამართვისა და მიღებული გადაწყვეტილებების დადოკუმენტირებისთვის;
- საბჭომ, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ უნდა განიხილოს და დარწმუნდეს, რომ სამოქმედო გეგმა და დასახული მიზნები ურთიერთშესაბამისია.


საბჭომ მოითხოვოს სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშები, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ. აღნიშნული ანგარიშები უნდა ასახავდეს მიღწეულ შედეგებსა და საბჭოს მიერ გაცემული მითითებების საპასუხოდ განხორციელებულ ქმედებებს.

2.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის უმთავრესი ფუნქციაა საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სამსახურის ძირითად პროდუქტია აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი. სამსახური ორიენტირებულია, ერთი მხრივ, შიდა პროცესების გაუმჯობესებით ხარისხიანი და ქმედითი რეკომენდაციების მომზადებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პარლამენტთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით, რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე.


აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული არაერთი აქტივობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა. სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, ბოლო 3 წლის განმავლობაში გაიცა 2,000-ზე მეტი რეკომენდაცია, საიდანაც ნახევარზე მეტი (50.4%) 2019 წელს ეკუთვნის. რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად, შემცირდა რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი და 42%-ს გაუტოლდა (გარდა ამისა, ნაწილობრივ შესრულებულია რეკომენდაციების 15%). აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი გაცემულია და უწყებების მიერ მათი შესრულებისთვის მოთხოვნილი ვადა ჯერ არ დასრულებულა.

დიაგრამა 5. 2017-2019 წლებში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა




სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს ორი ტიპის რეკომენდაციებს: სტანდარტული და სისტემური. სისტემურია რეკომენდაციები, რომელთა შესრულებასაც შესაძლოა ჰქონდეს დიდი ზეგავლენა საჯარო სექტორში მიმდინარე პროცესებსა და სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამ ტიპის რეკომენდაციები ეხება ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს. მათი შეუსრულებლობით სახელმწიფო ბიუჯეტმა შესაძლოა დაკარგოს მნიშვნელოვანი შემოსავლები, გაიზარდოს კორუფციისა და თაღლითობის რისკი, მოხდეს საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო ქონების არამიმართლმართვი განკარგვა და სხვ.


დიაგრამა 6. 2017-2019 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა




დიაგრამა 8. 2017-2019 წლებში გაცემული სისტემური რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა



დიაგრამა 7. 2019 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა




დიაგრამა 9. 2017-2019 წლებში გაცემული სტანდარტული და სისტემური რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა



სისტემური რეკომენდაციების შესრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად, ასეთი რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია და 26%-ს შეადგენს. აღნიშნულს ასევე განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ სისტემური რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეფექტიანობის აუდიტებში გაიცემა. ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა კი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და ბოლო 2 წელიწადში 67%-ით გაიზარდა.


აუდიტის სახეობების მიხედვით, შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს აქვს: მათი 58% შესრულებულია. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების შემთხვევაში და 16%-ს შეადგენს.

დიაგრამა 10. 2017-2019 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უმეტესწილად გაცემულია 5 ძირითადი მიმართულებით. რეკომენდაციების თითქმის ნახევარი ეხება აღრიცხვა-ანგარიშგებასა და ორგანიზაციულ და პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დარღვევებს.

დიაგრამა 11. 2017-2019 წლებში გაცემული რეკომენდაციების თემატური განაწილება



- აქტივების მართვა
- შესყიდვების მართვა
- საბიუჯეტო რესურსების მართვა
- ორგანიზაციული პერსონალის მართვა
- აღრიცხვა-ანგარიშგება

წლიდან წლამდე რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მართვის ეფექტური ინსტრუმენტების არსებობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით შიდა პროცესების ეფექტიანობის ამაღლებაზე. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, 2019 წელს სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.²⁷ სისტემას რეკომენდაციების გაცემის, შესრულებისა და მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში. შედეგად, სისტემა უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას. აღსანიშნავია, რომ სისტემა საშუალებას აძლევს აუდიტის სამსახურის მთავარ პარტნიორს – საქართველოს პარლამენტს, უშუალოდ ჩაერთოს მონიტორინგის პროცესში და ამით გააძლიეროს მისი საზედამხებელო ფუნქცია საჯარო ფინანსების მართვის სფეროში.

მიმდინარე წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი აღნიშნული სისტემის დანერგვა და პრაქტიკაში ამოქმედებაა.

²⁷ <https://aris.sao.ge>



რეკომენდაციების შესრულებით მოტანილი სარგებელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას და კონკრეტული სარგებლის მიღებას არაერთი მიმართულებით, როგორცაა, სახელმწიფო სერვისების მიწოდება, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა, საკადრო რესურსებისა და აქტივების მართვის გაუმჯობესება, ფინანსური მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დახვეწა, სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის ამაღლება და სხვ.

2019 წელს საჯარო სექტორში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, რომელთა ნაწილი აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგია. ქვემოთ წარმოდგენილია წარმატებით შესრულებული რეკომენდაციებისა და შესაბამისად, მიღებული სარგებლის რამდენიმე მაგალითი:

ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი

მიგნება: ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე პოლიციელი ძალადობის ისტორიის თაობაზე (წინა გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, მოქმედებაში მყოფი შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, ნასამართლეობა, ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება და ა.შ.) ინფორმირებულია არასათანადოდ, რაც ქმნის რისკს, რომ პოლიციის მხრიდან ძალადობის ფაქტი განიხილება, როგორც ცალკე აღებული შემთხვევა.

რეკომენდაცია: ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების და ძალადობისგან დაცვის მექანიზმების სათანადო აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილია უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე პოლიციელებისთვის საჭირო ინფორმაციაზე (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა, რაც შედეგად, რისკის სწორად შეფასებით, ხელს შეუწყობს მსხვერპლის

დაცულობის ხარისხის გაზრდას და სამართალდარღვევაზე შესაფერისი საპასუხო ღონისძიების განსაზღვრას.

მიღებული სარგებელი: საგამოძიებო დანაყოფების ხელმძღვანელებს დაეგზავნათ ოფიციალური წერილი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე ყველა პოლიციელისათვის საჭირო ინფორმაციაზე (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.), ასევე შესაბამისი პროგრამებში ჩართვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე მათ დაევალოთ, რომ შესრულებული სამუშაოს შესახებ ოფიციალურად ეცნობებინათ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამინისტროს თითოეული ტერიტორიული ერთეულიდან მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე ყველა პოლიციელს გააჩნია მითითებაში განწერილ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც ძალადობის განმეორების რისკების სწორად შეფასების საშუალებას იძლევა, ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცულობის ხარისხის გაზრდასა და მოძალადისათვის შესაფერისი საპასუხო ღონისძიებების განსაზღვრას.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტი

მიგნება: აუდიტის პერიოდში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ²⁸ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოყენებული პროცედურები ვერ უზრუნველყოფდა მაღალი ეკოლოგიური რისკის ობიექტების შერჩევას. შედეგად, დეპარტამენტის ინსპექტირების რესურსი მიმართული იყო დაბალი ეკოლოგიური რისკების მქონე ობიექტების შესამოწმებლად. მაგალითად, 2016 წელს დაგეგმილი შემოწმებებიდან 85%-ს შეადგენდა მტკნარი და მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზიების შემოწმება. რაც შეეხება დიდი მოცულობის ლიცენზიებს,²⁹ რომლებიც პო-

²⁸ სახელმწიფო საქვეუწყებო დანსებულება.
²⁹ 15 ჰა-ზე დიდ ფართობზე გაცემული ლიცენზიები.



ტენციურად მეტ ეკოლოგიურ საფრთხეებს ქმნის, აუდიტის პერიოდში სალიცენზიო ფართობზე ვიზიტის განხორციელებით შემოწმდა მხოლოდ 25 ლიცენზია, რაც ამ ტიპის მთლიანი ლიცენზიების 18%-ს შეადგენდა.

რეკომენდაცია: იმ მიზნით, რომ მოხდეს სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების რესურსის გამოყენება მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე სალიცენზიო ფართობების შესამოწმებლად, სააგენტომ უზრუნველყოს ეკოლოგიური რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და შესამოწმებელ ლიცენზიანტთა შერჩევა მოახდინოს აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

მიღებული სარგებელი: საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP – United Nations Development Programme) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში შემუშავდა რისკების შეფასების მეთოდოლოგია. რისკების შეფასების მეთოდოლოგია მომზადდა პროექტის ფარგლებში შერჩეული კვალიფიციური ექსპერტის მიერ. იგი აერთიანებს ინფორმაციას გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ირგვლივ. სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილ იქნა დაინტერესებული მხარეების და უფლებამოსილი უწყებების წარმომადგენლების ჩართულობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სექტორში გამჭვირვალე მმართველობის დანერგვას.

ინკლუზიური სწავლების ეფექტიანობის აუდიტი

მიგნება 1: ქვეყნის მასშტაბით არსებობს ინკლუზიური განათლების მიზნების შესაბამისად ადაპტირებული სკოლები და მათ არ ჰყავთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეები. ამის საპირისპიროდ, ფიქსირდება სკოლები, სადაც ირიცხებიან სსსმ, მათ შორის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები, რომელთა გარემო არ არის თანხვედრაში ინკლუზიური განათლების მიზნებთან. აღნიშნული, ერთი მხრივ, ზრდის ფინანსური რესურსის არაპროდუქტიუ-

ლად განკარგვის რისკებს და, მეორე მხრივ, ზღუდავს მოსწავლეებისთვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

რეკომენდაცია: განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტროს სამმართველოსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ერთობლივად შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რის მიხედვითაც სსსმ მოსწავლის ჩარიცხვამდე შეფასდება სკოლის გარემო, პრიორიტეტების მიხედვით მოხდება სკოლების შერჩევა და შესაბამისად, ეტაპობრივად მოხდება სკოლების სრული ადაპტაცია.

მიღებული სარგებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 25 თებერვალს განხორციელებული ცვლილებით, პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველ ეტაპად განისაზღვრა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რეგისტრაცია, რაც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეებისთვის დროულად დაიწყოს საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

მიგნება 2: სკოლებში ინკლუზიური სწავლების სათანადოდ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის სამინისტრო არ ფლობს პროგრამის ბენეფიციარებისა და პოტენციური მოსარგებლეების შესახებ რელევანტურ, სრულ და ზუსტ ინფორმაციას.

რეკომენდაცია: პროგრამის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ სხვადასხვა პასუხისმგებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებზე. ასევე უზრუნველყოს პროგრამით მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზების სისრულე და სიზუსტე, სადაც გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლის საჭიროებები, სკოლებში ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მასწავლებლების გადამზადების მდგომარეობა და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა რელევანტური ინფორმაცია.

მიღებული სარგებელი: 2019 წელს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მუშაობის მონიტორინგის ელექტრონული პროგრამა, სადაც აისახა ინფორმაცია სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესახებ. პროგრამა ტესტირების რეჟიმშია და მიმდინარე წელს დაგეგმილია EMIS-ის eschool-ის სისტემასთან დაკავშირება. აღნიშნული საკითხი, მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისა და მათთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად

ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანობის აუდიტი

მიგნება: 2016-2017 წლებში 22 სტაციონარულ დაწესებულებაში განხორციელდა როგორც სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი, ისე ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგი. შედეგებიდან ირკვევა, რომ 5 სტაციონარულ დაწესებულებაში მონიტორინგის დროს აღმოჩენილი დარღვევები, რომელთა შესრულებაც მათ სანებართვო პირობებითაც მოეთხოვებოდათ, კონტროლის დარღვევებში არ იყო დაფიქსირებული.

რეკომენდაცია: სტაციონარული დაწესებულებების სანებართვო პირობების შემოწმების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს კონტროლის განხორციელების სახელმძღვანელო, რაც უზრუნველყოფს შესასრულებელი პროცედურების დეტალიზაციას და ერთგვაროვან მიდგომას.

მიღებული სარგებელი: სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეიმუშავა სტაციონარული დაწესებულებების სანებართვო პირობების, ამბულატორიული დაწესებულების ტექნიკური რეგლამენტის პირობებისა და სტომატოლოგიური დაწესებულების ტექნიკური რეგლამენტის შემოწმების მეთოდოლოგიები, რომლებიც დამტკიცდა სააგენტოს უფროსის 2019 წლის 28 მაისის N02-205/ო ბრძანებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

მიგნება: სამხედრო სამსახურის პერიოდში მოსამსახურეებს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს სახელმწიფო, თუმცა სამხედროების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს სამსახურებრივ ბინას, რადგან სამინისტროს საბინაო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ.

ამავე დროს, სამინისტროს აქვს 700-ზე მეტი პირის მიმართ ბინების საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება, რასაც წლების მანძილზე ვერ აკმაყოფილებს. სამინისტროს აღნიშნული პირების ბინით დაკმაყოფილების გარკვეული პოტენციალი გააჩნია, რასაც არ იყენებს (მაგალითად, მცხეთის ერთ-ერთ სამხედრო ქალაქში მდებარე 2 კორპუსში დალუქულია 28 ბინა, რომელთა ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გემოხსენებული მოსამსახურეებისთვის საკუთრებაში გადასაცემად). ამასთანავე, საბინაო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ არსებობს ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმები ბინის გადაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

რეკომენდაცია: საბინაო და საყაზარმე ფონდის ეფექტიანად მართვისა და სამხედრო მოსამსახურეების ბინით მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ:

- უზრუნველყოს საბინაო და საყაზარმე ფონდის მართვის სტრატეგიისა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის ბინის როგორც სამსახურებრივ სარგებლობაში, ისე საკუთრებაში გადაცემის გამჭვირვალე, ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა შემდგომ საქმიანობაში; მნიშვნელოვანია, ამ პროცესში გაითვალისწინოს საერთაშორისო გამოცდილება.

მიღებული სარგებელი: სამინისტროში შემუშავებულია და დამტკიცების ეტაპზეა დებულების პროექტი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი დანიშნუ-



ლების საცხოვრებელი ბინების დროებით სარგებლობაში გადაცემის წესის შესახებ“, რომელიც ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებით განხორციელდება ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში გადაცემა.

68 პირი, რომელთა მიმართ სამინისტროს ბინების საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება ჰქონდა – დაკმაყოფილებულია, ხოლო 36 პირს უკვე გაენია შესაბამისი რეკომენდაცია. მიმდინარეობს 2 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რაც კიდევ 486 პირის დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს სამინისტროს. არსებული დაუსრულებელი მშენებლობის ხარჯზე დასრულდა და გარემონტდა 144 ბინა, რომელთა განაწილებაც სამსახურებრივი დანიშნულებით უკვე შესაძლებელია.

ძალოვანი უწყებების უნიფორმით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი

მიგნება: ძალოვანი უწყებების მოსამსახურეთა უნიფორმებით უზრუნველყოფა არ ხდება სრულად, რაც ძირითადად დაკავშირებულია საჭიროებების განსაზღვრისა და მარაგების მართვის ნაკლოვანებებთან. გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა მისაღები ხარისხის უნიფორმის ეკონომიურად შესყიდვა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა უშედეგოდ და არაკონკურენტულ გარემოში ჩატარებული ტენდერების მიზეზები, საიდანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საქონლის ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრის ნაკლოვანებები. კერძოდ, შესყიდვების პროცედურების მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოვლინდა თავდაცვის სამინისტროს მიერ მაღალეფიანი ფეხსაცმლის შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებსა და გამარტივებულ შესყიდვებში. სამინისტროს მიერ 2018 წლამდე ვერ მოხერხდა ტექნიკური მახასიათებლების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ განხორციელებულიყო მისაღები ხარისხის ფეხსაცმლის შესყიდვა.

რეკომენდაცია: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს: იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისაღე-

ბი ხარისხის უნიფორმის დროული და ეკონომიური შესყიდვა (ჯანსაღი კონკურენციის პირობებში), მნიშვნელოვანია:

- აუდიტის ობიექტებმა შეიმუშაონ და დანერგონ უნიფორმის თითოეული ატრიბუტიკის, კომპონენტის გონივრული ტექნიკური (ხარისხობრივი, თვისობრივი) მახასიათებლები, ბაზრის კვლევისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მიღებული სარგებელი: აუდიტის ობიექტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეიმუშავა ფეხსაცმლისა და უნიფორმის მისაღები ხარისხის მახასიათებლები, სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში თავდაცვის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლეს მოსამსახურეების მაღალი ხარისხის ფეხსაცმლით უზრუნველყოფა.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი

მიგნება: სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ერთსა და იმავე დროს ჩატარებული სასმელი წყლის 16 შემომწებიდან, 15 შემთხვევაში შედეგები არ ემთხვევა ერთმანეთს.

რეკომენდაცია: შიდა კონტროლის შედეგების საიმედოობის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი განხორციელოს აკრედიტებული ლაბორატორიების მეშვეობით.

მიღებული სარგებელი: შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის ბრძანებით, შესაბამის სამსახურებს დაევალებათ კომპანიის ლაბორატორიებისათვის მოიპოვონ სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული აკრედიტაციის მოწმობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული პროცესის დასრულების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის შედეგების საიმედოობა.

სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების შესაბამისობის აუდიტი

მიგნება 1: საქართველოს მთავრობის N121 დადგენილებაში „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ მოცემული მოთხოვნები არ იძლევა ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე (მაგალითად, ჰიბრიდული და ელექტროავტომობილები) ავტომობილების შეძენის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს სანავის და ავტომობილების საექსპლუატაციოდ საჭირო ფინანსების ეკონომიურ ხარჯვას და ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობას.

რეკომენდაცია: ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობის მიზნით, გადაიხედოს მთავრობის N121 დადგენილება და შევიდეს ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ალტერნატიულ ენერჯიაზე (მაგალითად, ჰიბრიდული და ელექტროსისტემის მქონე) მომუშავე ავტომობილების შესყიდვას.

მიღებული სარგებელი: მთავრობის N121 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებით შესაძლებელი გახდა ალტერნატიულ ენერჯიაზე (მაგალითად, ჰიბრიდული და ელექტრო სისტემის მქონე) მომუშავე ავტომობილების შესყიდვა, რაც საბიუჯეტო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს – მიიღონ ეკონომიური და ეკოლოგიურად უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილებები.

მიგნება 2: მსოფლიოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების შეძენამდე კეთდება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (Cost-benefit analysis). აღნიშნული პრინციპით საქმიანობა ეხმარება სახელმწიფო ავტოპარკის მართვის ორგანოებს, აკონტროლონ რამდენად დროულია და ხარჯეფექტურია ავტოპარკის განახლება.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ავტოპარკის მართვაში ხარჯეფექტურობის ანალიზის პრინციპებს და ის არც პრაქტიკაშია დანერგილი.

რეკომენდაცია: ავტოპარკის განახლების ოპტიმალური დროის განსაზღვრისა და ხარჯეფექტურობის დასაბუთების პრინციპების ეტაპობრივად დანერგვის მიზნით, სახელმწიფო კომისიამ კარგი საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, იმსჯელოს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ავტომობილის შეძენამდე განსაზღვრავს ხარჯეფექტურობის პრინციპებს.

მიღებული სარგებელი: აუდიტის ობიექტებიდან წარმოდგენილი განმარტებებით, სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, სახელმწიფო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციების თანამშრომლების მონაწილეობით. სახელმწიფო ავტოპარკის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, მოხდება ხარჯეფექტურობის განსაზღვრა.

მიგნება 3: შესწავლილი ორგანიზაციების ნაწილში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე პირების შვებულებაში/მივლინებაში ყოფნის პერიოდში, ხდებოდა ავტომობილების ექსპლოატაცია;

რეკომენდაცია: საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, ორგანიზაციებმა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო კოორდინაციით, დანერგონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს ქონებისა და სხვა რესურსების მიზნობრივ გამოყენებას.

მიღებული სარგებელი: აუდიტის ობიექტებიდან წარმოდგენილი განმარტებით, შვებულება-მივლინების პერიოდში თანამშრომლებზე განპიროვნებული ავტომობილები ჩერდება, რაც მხოლოდ შემონმებულ ორგანიზაციებში წლიურად, საშუალოდ, 40,000 ლიტრი სანავის ეკონომიას იძლევა.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი

მიგნება: რეაბილიტაციის გეგმაში ასახული 10.8 მლნ ლარის არამიმდინარე ვალდებულებების სასამართლო წესით შემოწმება და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით აღიარება, ვერ დასტურდება. აღნიშნული თანხიდან, ელექტრო-



სისტემას 2014-2017 წლებში 21 კრედიტორზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უკვე გადახდილი აქვს ძველი სახელფასო დავალიანება, 15.7 ათასი ლარის ოდენობით.

რეკომენდაცია: ფულადი სახსრების სამართლებრივი საფუძვლით განკარგვის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უზრუნველყოს რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ვალდებულებების დაზუსტება და გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის ინიცირება.

მიღებული სარგებელი: რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ვალდებულებების დაზუსტება და გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესი დაწყებულია. კერძოდ, სასამართლოს მიერ კრედიტორთა კრებაზე დაზუსტდა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრი. შესაბამისად, რეაბილიტაციის გეგმა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი სასამართლოს მიერ დაზუსტებულ კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრთან, რომლის საფუძველზეც განხორციელდება კრედიტორების მიმართ ფულადი ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული ქმედებით მნიშვნელოვნად შემცირდა თანხების კანონშეუსაბამოდ გადახდის რისკები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

მიგნება: 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს შორის. ამ პერიოდში პროექტი არ ხორციელდებოდა, რის გამოც ხელშეკრულების თანახმად, საქართველო სესხის აუთვისებელ ნაწილზე ყოველწლიურად იხდიდა ვალდებულებების გადასახადს, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

რეკომენდაცია: სამინისტროს საკრედიტო რესურსით მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი/არაეფექტური ხარჯების გაწვევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, დროულად

იდენტიფიცირებულ იქნეს პროექტის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, უზრუნველყოფილ იქნეს მოზიდული რესურსების დროული და ეფექტიანი გამოყენება.

მიღებული სარგებელი: არსებული მდგომარეობით რეკომენდაცია გათვალისწინებულია და 2019 წელს დაიწყო სამუშაოები აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში. კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, ახალი სანიტარული ნაგავსაყარის მშენებლობა 2019 წლის ივლისში დაიწყო და 2020 წლის ნოემბერში უნდა დასრულდეს. ახალ ნაგავსაყარზე განთავსდება როგორც ქ. ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ 5 მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

მიგნება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გარდა, არ ჰქონდათ დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც წარმოშობს კონსოლიდირების პრობლემებს. აღნიშნული გარემოების გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაძლოა სათანადოდ არ ასახავდეს რეალურ ფინანსურ მდგომარეობას.

რეკომენდაცია: საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზების მიზნით, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშაონ და დაადგინონ საბიუჯეტო ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა/შიდა აღრიცხვის წესები.

მიღებული სარგებელი: არსებული მდგომარეობით, რეკომენდაცია გათვალისწინებულია და 2019 წლიდან ყველა მხარჯავმა დაწესებულებამ

დაამტკიცა ორგანიზაციის საადრიცხო პოლიტიკა, რომლითაც ასევე ხელმძღვანელობენ შესაბამისი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები.

2.3 აუდიტის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობა დაფუძნებულია ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ძლიერ სისტემებზე. აუდიტორული საქმიანობის მაღალი ხარისხი მიიღწევა აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფით, ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნითა და სათანადო ფუნქციონირებით. აუდიტის ანგარიშების (პროექტების) ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურში შექმნილია აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მონიტორინგის სტრუქტურული ერთეული – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სახით.

აუდიტის ხარისხის მონიტორინგის მიზანია მოიპოვოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ:

- სამსახურისა და მისი პერსონალის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს;
- სამსახურის მიერ გამოცემული აუდიტის ანგარიშები შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს.

აუდიტის სამსახურში დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. აღნიშნული გულისხმობს გამოცდილი აუდიტორებისაგან მიმოხილველთა ჯგუფის შექმნას, რომელიც ახორციელებს აუდიტების ხარისხის კონტროლს აუდიტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, შესრულება, ანგარიშგება). აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემის მიზანია აუდიტის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტებისა და სამსახურის სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით.

მიმოხილველთა ჯგუფების მიერ 2019 წელს შემოწმდა აუდიტორული გეგმით გათვალისწინე-

ბული 34 აუდიტი (14 ფინანსური და 20 შესაბამისობის აუდიტი). დანარჩენი აუდიტების ხარისხის შემოწმება განახორციელა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა.

გარდა ამისა, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს გატარდა სხვადასხვა ღონისძიება:

- აუდიტის მართვის სისტემის (AMS) ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და მისი პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, აუდიტის მართვის სისტემაში ჩაშენდა და განახლდა ფინანსური აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სამუშაო პროგრამები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინიციატივითა და სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგები აუდიტის მართვის სისტემაში ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების განმახორციელებელი აუდიტორებისათვის;
- განახლდა ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგია და შესაბამისი სამუშაო დოკუმენტაცია. ახალი დოკუმენტაციის შემუშავებასთან ერთად ასევე გადაისინჯა და ცვლილებები შევიდა არსებულ სამუშაო დოკუმენტებში;
- 2019 წელს შემუშავდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშების შაბლონები ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის პრაქტიკის გათვალისწინებით.





3.

ძირითადი პარტნიორების ჩართულობა

3.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავისი აუდიტორული საქმიანობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარლამენტის მიერ საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში. საქართველოს პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი პარტნიორი და მისი აუდიტის ანგარიშების მთავარი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პარლამენტსა და მის კომიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერებაა.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკრეტული აუდიტების შედეგებსა და რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხს წარადგენს აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი. განხილვაში ასევე მონაწილეობს აუდიტის ობიექტის მხარეც.

2019 წელს აუდიტის ანგარიშების განხილველმა სამუშაო ჯგუფმა განიხილა 13 აუდიტის ანგარიში:

1. ქ. თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.
2. სექტორულ სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ანგარიშვალდებულების წინაპირობების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი.
3. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში – ეფექტიანობის აუდიტი.
4. ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები – ეფექტიანობის აუდიტი.
5. ინფექციის პრევენცია და კონტროლი – ეფექტიანობის აუდიტი.
6. განათლების მართვის ინფორმაციული სისტემები – ეფექტიანობის აუდიტი.

7. უმაღლესი განათლების პროგრამებისა და პრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი.
8. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი.
9. ძალოვანი უწყებების უნიფორმებით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი.
10. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.
11. შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი.
12. სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2015-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების შესაბამისობის აუდიტი.
13. სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი.

ასევე მიმდინარე წელს სამუშაო ჯგუფმა შეჯამებულად განიხილა 2019 წელს 10 სამინისტროში ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგები და გაცემული რეკომენდაციები.

პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესების კუთხით. სამუშაო ჯგუფის ფორმატში მნიშვნელოვანი ანგარიშებისა და რეკომენდაციების პერიოდული განხილვა და პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გაუმჯობესება – სამსახურის მთავარ პრიორიტეტად რჩება.

3.2 თანამშრომლობა საქართველოს მოსპროკასთან

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომ-



ლობა მთავრობასთან. პერიოდული შეხვედრებისა და ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში სამსახური ახორციელებს აუდიტის შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების განხილვასა და ერთობლივად, მათი აღმოფხვრის გზების მოძიებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა თანამშრომლობა სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების სისტემური აუდიტის ფარგლებში, რის შედეგადაც გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლე დროში იქნა შესრულებული.

ამასთანავე, აუდიტის სამსახურს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და აუდიტის ანგარიშებში მოცემული სისტემური ხარვეზების პრევენციის კუთხით.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგკურსი: „შიდა აუდიტი – მუნიციპალიტეტებისთვის“. 2019 წელს სასწავლო კურსი გაიარა 37 მუნიციპალიტეტის 60-ზე მეტმა საჯარო მოხელემ. კურსის სასწავლო პროგრამა მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და მისი მიზანია, მუნიციპალიტეტებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან რეგულარულად იმართება შეხვედრები აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებების განხილვის, შესაძლო დარღვევების პრევენციისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით. 2019 წელს შეხვედრები გაიმართა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

3.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

აუდიტების ფარგლებში პერიოდულად ვლინდება ისეთი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. მსგავსი ტიპის კონკრეტული საკითხები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს კანონმდებლობით დადგენილი შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი ანგარიშების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების სტატუსების მუდმივი მონიტორინგის კუთხით.


2019 წელს სამართალდამცავ ორგანოებთან გადაიგზავნა 34 აუდიტის შესაბამისი მასალა. (იხ. დანართი N2)

3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოქალაქეთა ჩართულობა და გამჭვირვალობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სხვადასხვა მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მუდმივად ცდილობს მოქალაქეთა ინფორმირებისა და აუდიტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის გაზრდას. სამსახური წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის ფორმირებისას აქტიურად ითვალისწინებს მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვებს. კერძოდ, 2019 წელს სხვადასხვა წყაროდან მიღებული 72 მომართვიდან 33% გათვალისწინებულ იქნა 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში.

დიაგრამა 12. 2018-2019 წლებში მიღებული მომართვები აუდიტის ჩატარების შესახებ, კატეგორიების მიხედვით



მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით აუდიტის სამსახური იყენებს ინოვაციურ ვებპლატფორმას – ბიუჯეტის მონიტორს (www.budgetmonitor.ge).³⁰ ბიუჯეტის მონიტორი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, მიიღოს ამომწურავი ანალიტიკური ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების, აუდიტის მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს კომუნიკაციის პლატფორმას, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ აუდიტის სამსახურს საჭარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და ჩაერთონ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირების პროცესში.

ბიუჯეტის მონიტორის სამწლიანი ფუნქციონირების პროცესში მომხმარებელთა ქცევის შესახებ დაგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, 2019 წელს შემუშავდა პლატფორმის განახლების კონცეფცია. მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტის მონიტორის ფუნქციონალის დახვეწაზე, რაც გულისხმობს მომხმარებელზე კიდევ უფრო მორგებული, მარტივი და აქტუალური საკითხებით გამდიდრებული პლატფორმის შექმნას.

ჩართულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად გაიზარდა ბიუჯეტის მონიტორის მომხმარებელთა რაოდენობა. პლატფორმას 2019 წელს ჰყავდა 10 ათასამდე ახალი მომხმარებელი. მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობის შედეგად, გასულ წელს ასევე გაიზარდა აუდიტის სამსახურში შემოსული – როგორც მოქალაქეთა მომართვების, ასევე მათი გათვალისწინების მაჩვენებელი.

ფართო საზოგადოებასა და ძირითად პარტნიორებთან ეფექტური უკუკავშირის მექანიზმის ჩამოყალიბება ხელს უწყობს აუდიტის სამსახურს, უკეთ წარმოაჩინოს თავისი ღირებულება და სარგებელი მოქალაქეებისთვის. აუდიტის სამსახურში ინფორმაციის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის ნათელი მაგალითია ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული 2019 წლის ღია ბიუჯეტის ინდექსი (Open Budget Index),³¹ სადაც მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტის შეფასების ზრდაში (2017 წელს – 22 ქულა; 2019 წელს – 28 ქულა) მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ აუდიტის სამსახურმა და მისმა ჩართულობის თანამედროვე ინსტრუმენტებმა შეიტანეს. კერძოდ, აუდიტის სამსახურის შეფასება გაიზარდა 67-დან 78 ქულამდე და სამსახური ინარჩუნებს ყველაზე მაღალ შეფასებას სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

თანამშრომლობა მედიასთან

საჭარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთი უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს აუდიტის სამსახურის ეფექტიანი თანამშრომლობა მედიასთან. სამსახური ამ მიმართულებითაც ცდილობს განავითაროს ინოვაციური მიდგომები, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების როლის გაძლიერებას საჭარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების პროცესში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გა-

³⁰ <https://budgetmonitor.ge/ka>

³¹ <https://www.internationalbudget.org/open-budget-survey/country-results/2019/georgia>



ნახლებული ოფიციალური ვებგვერდი, რომლის ახალი დიზაინი და ფუნქციონალი მომხმარებლებს მნიშვნელოვნად უადვილებს სამსახურის საქმიანობის შედეგებისა და საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციების მოძიებას/ანალიზს. ამასთანავე, ვებგვერდს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული ფუნქციონალი (აუდიოგახმოვანება, კონტრასტის ცვლილება, ტექსტის ზომის ცვლილება).


სამსახური აგრძელებს მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას აუდიტის ანგარიშების, სამსახურის საქმიანობისა და მისი ძირითადი პროდუქტების შესახებ. ამ მიზნით 2019 წელს გაიმართა მედიასემინარი „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) მხარდაჭერით, რომელსაც სხვადასხვა მედიასაშუალებების 30-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა.

დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი ურთიერთობისთვის სამსახური აქტიურად იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციის არხებსა და ინსტრუმენტებს, ასევე მუშაობს ინტერნეტრესურსების განვითარებისა და განახლების მიმართულებით:

- ფართო საზოგადოების მიერ აუდიტის სამსახურის პროდუქტების გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის დონის ამაღლების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს აუდიტის ანგარიშების აღქმადობის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით, სამსახური განაგრძობს ეფექტიანობის აუდიტის ბლოგის (www.blog.sao.ge)³² გაუმჯობესებას, სადაც განთავსებული სტატიები შეჭამებული სახით აწვდის მკითხველს ინფორმაციას აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ. გასულ წელს ბლოგს დაემატა თარგმანის განყოფილება, სადაც ქვეყნდება აუდიტის სამსახურის საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი ბლოგ-პოსტები;

- აუდიტის სამსახური აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს და საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, მარტივად მიიღონ უახლესი ინფორმაცია აუდიტის ანგარიშებში მოცემული ძირითადი მიგნებებისა და ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორზე განთავსებული მონაცემების შესახებ.

დიაგრამა 13. 2019 წელს დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 3,405 ერთეული მედია გამოხმაურება



აუდიტის სამსახურის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სამსახური სულ უფრო მეტად ცდილობს, განავითაროს ინოვაციური მიდგომები, რომელიც გააძლიერებს საზოგადოების როლს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების კუთხით.

3.5 საერთაშორისო თანამშრომლობა

2019 წელს უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების (SAIs), დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით წარმატებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, რომ-

³² <https://blog.sao.ge>



ლებმაც ხელი შეუწევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის გაუმჯობესებას.

სამსახურის ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტია საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება. სამსახური უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია, რომელთა მიზანია, საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საჯარო მმართველობის ეფექტიანობის გაძლიერებისა და საჯარო აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აუდიტის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. წარმატებული პარტნიორობის შედეგია INTOSAI-ის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული სტატია³³ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის განვითარებისა და სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ, სადაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან განხილულია როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი.

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით 2019 წელს განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი.

ევროკავშირი (EU)

2019 წელს დასკვნით ფაზაში გადავიდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი – „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“. პროექტის ფარგლებში

მხარდაჭერილ იქნა სხვადასხვა მიმართულება, მათ შორის:

- განახლდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- გაგრძელდა სამსახურის მხარდაჭერა საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS) თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით;
- აუდიტის მართვის სისტემის (AMS) პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;
- აუდიტის სამსახურისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტები ფინეთისა და ლატვიის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებში ფინანსური მდგომარეობის განსხვავებულ მიდგომათა გაცნობის მიზნით;
- ევროკავშირთან (EU) შეთანხმდა ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების პროექტი, რომელსაც 2020-2022 წლებში მსოფლიო ბანკი (WB) განახორციელებს. პროექტი ემსახურება ქვეყანაში ეკონომიკური და ფისკალური სექტორის განვითარებას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ), რომელიც მხარს უჭერს საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელებაში. 2019 წელს დასრულდა GIZ-ის რეგიონალური პროგრამა „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“, რომლის ფარგლებში 2012 წლიდან განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და ქმედუნარიანობის გაზრდას, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტს, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

³³ <https://intosaidonor.org/stories/digitizing-public-sector-governance-the-sai-georgia-story/>



2019 წლიდან GIZ ახორციელებს პროექტს – „უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგისათვის“, რომელიც მიზნად ისახავს პროექტში მონაწილე ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი და უკრაინა) უმაღლესი აუდიტორული უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას. აღნიშნული პროექტის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებას საქართველოს აუდიტის სამსახურმა უმასპინძლა, როგორც პროექტის მენტორმა და რეგიონში წამყვანმა აუდიტორულმა ორგანიზაციამ.

2019 წელს GIZ-ის მხარდაჭერით:

- სამსახურში ექსპერტის რანგში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სლოვენის აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, რომლის ჩართულობით მომზადდა რამდენიმე ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში;
- აზერბაიჯანის, უკრაინისა და სომხეთის აუდიტის სამსახურის აუდიტორებმა სტაჟირება გაიარეს აუდიტის სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის ფარგლებში აუდიტის სამსახურმა აზერბაიჯანის, ბელარუსის, სომხეთისა და უკრაინის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისათვის ჩაატარა ტრენინგსემინარები ეფექტიანობისა და ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიებისა და გარე საფინანსო კონტროლის სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ;
- ინგლისურ ენაზე ითარგმნა ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები საერთაშორისო დონეზე გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიტიკური ვებპლატფორმის – ბიუჯეტის მონიტორის ფუნქციონალური განახლება.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

USAID-ის მხარდაჭერით სამსახურში მიმდინარეობს რამდენიმე პროექტი, რომლებიც ხელს უწყობს სამსახურის შესაძლებლობების განვითარებას,

როგორც ადამიანური რესურსების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით.

2019 წელს USAID-სა და აუდიტის სამსახურს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც ერთი მხრივ, მოიცავს აუდიტის სამსახურის მიერ USAID-ის დაფინანსებული პროექტების ფინანსური აუდიტების ჩატარებას, ხოლო მეორე მხრივ, სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობას. მემორანდუმის ფარგლებში:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტი;
- USAID-მა აუდიტის სამსახურისთვის შეიძინა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) დამატებით 50 ლიცენზია (დაახლოებით, 200 ათასი ლარის ღირებულების), რაც სისტემაში აუდიტორთა სრული ჩართულობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, განხორციელდა პროგრამასთან დაკავშირებული ტრენინგმხარდაჭერა.

კარგი მმართველობის ინიციატივის (Good Governance Initiative – GGI) ფარგლებში 2019 წელს USAID-ის მხარდაჭერით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- შეიქმნა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (ARIS), რომელსაც რეკომენდაციების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში;
- განახლდა აუდიტის სამსახურისა და სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ოფიციალური ვებგვერდები;
- აუდიტის სამსახურის ერთმა თანამშრომელმა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურში (GAO) გაიარა აუდიტის საერთაშორისო სტაჟირების 4-თვიანი პროგრამა;
- დაინერგა USAID-ისა და სახელმწიფო აუდიტის

ტის სამსახურის ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებში აყვანილ იქნა 3 სტაჟირი, შედეგად კი სამსახურში დასაქმდა ერთი სტაჟირი;

- ჩატარდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ტრენინგები სამსახურის თანამშრომელთათვის;
- განხორციელდა ექსპერტული მხარდაჭერა ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის/გავლენის შეფასების მიმართულებით;
- სამსახურის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა მათი საერთაშორისო სასერტიფიკაციო ტრენინგკურსებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა.

ბაზის მართვის სისტემები, კიბერუსაფრთხოების რისკების შეფასება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა (GDPR compliance);

- უზრუნველყოფილ იქნა IT აუდიტის განხორციელების პროცესში ექსპერტული მხარდაჭერა;
- IT აუდიტის განხორციელება სრულად გადავიდა აუდიტის მართვის სისტემაში;
- შეიქმნა დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისათვის განკუთვნილი მონაცემთა ცენტრი;
- აუდიტის სამსახურის მიერ მოპოვებული მსოფლიო ბანკის გრანტის პროექტის „დიდი მონაცემების ანალიზის ამუშავება მმართველობისთვის (WB)“ ფარგლებში, 2019 წელს განხორციელდა სამსახურის ანალიტიკოსების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება მონაცემთა დამუშავების, ანალიზისა და ვიზუალიზაციის კუთხით, სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

მსოფლიო ბანკი (World Bank)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან 2 ძირითადი მიმართულებებით ხორციელდება: IT აუდიტის დანერგვა და „დიდ მონაცემთა“ ანალიტიკის განვითარება. 2019 წელს დასრულდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული 5-წლიანი პროექტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის განვითარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“, რომელიც მოიცავდა IT აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავებას, აუდიტის განხორციელების პროცესში ექსპერტულ მხარდაჭერასა და IT აუდიტორების შესაძლებლობების გაძლიერებას. 2019 წელს მსოფლიო ბანკის დახმარებით:

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია – Deloitte & Touche LLC-თან, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა IT აუდიტის, IT აუდიტის წლიური დაგეგმვის, IT აუდიტის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სახელმძღვანელოები, ასევე IT აუდიტორების პროფესიული განვითარების გეგმა. ამასთანავე, განხორციელდა IT აუდიტორების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება სხვადასხვა ტრენინგკურსების საშუალებით, როგორცაა, დიდი მონაცემების არქიტექტურა და გამოყენება, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, მონაცემთა

უმაღლესი აუდიტორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის საჯარო აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო უკეთეს პრაქტიკასთან დაახლოების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება. ამ მხრივ წარმატებული იყო 2019 წელი:

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: აზერბაიჯანის, ისრაელისა და ფინეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან. ასევე გაფორმდა მრავალმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს, აზერბაიჯანის, ბელარუსისა და უკრაინის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს შორის;
- გაიმართა მაღალი რანგის ორმხრივი შეხვედრები EUROSAI-ის გენერალურ მდივანთან, ისრაელის, ესპანეთის, ფინეთის, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ჩეხეთის, ყაზახეთისა და ბელარუსის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან;
- ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში აუდიტის სამსახურს ეწვივნენ ნიდერლანდების აუდიტის სასამართლოს წარმომადგენელები 2020-



- 2021 წლებში ერთობლივი ღონისძიებებისა და ექსპერტული მხარდაჭერის დაგეგმვის მიზნით;
- ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურს სამუშაო ვიზიტით ეწვევნენ ყაზახეთის რესპუბლიკის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს წარმომადგენლები, აუდიტის სამსახურის პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
 - ლატვიის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიცირებით, აუდიტის სამსახურში 3 ექსპერტის ჩართულობით გაიმართა სემინარი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად, მუნიციპალიტეტებში შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების მიმართულებით.

ჩართულობა მნიშვნელოვან საქართველოს ღონისძიებებსა და პროექტებში

2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI, EUROSAI და ASOSAI-ის 20-მდე საერთაშორისო შეხვედრაში. სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში ჩართულობა მნიშვნელოვანია საჯარო აუდიტის უახლესი მიდგომების გაზიარების, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. გასულ წელს სამსახური ჩართული იყო შემდეგ ღონისძიებებსა და პროექტებში:

- საქართველოს გენერალურმა აუდიტორმა EUROSAI-ASOSAI-ის რიგით მე-3 ერთობლივ კონფერენციაზე, საერთაშორისო აუდიტორულ საზოგადოებას გაუზიარა აუდიტის სამსახურის გამოცდილება თემაზე: „ეფექტიანობის გაზრდა ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემის (ICT) გამოყენებით“;
- აუდიტის სამსახური ჩაერთო EUROSAI-ის საგანგებო სიტუაციებისა და კატასტროფების აუდიტის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო პარალელულ აუდიტში – „წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის)“ ეფექტიანობის აუდიტი;

- EUROSAI-ის გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის (WGEA) საინფორმაციო ფურცლის 2019 წლის გამოცემაში გამოქვეყნდა სტატია ჰაერის ხარისხის ერთობლივ აუდიტში საქართველოს წვლილის, გაცემული რეკომენდაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;³⁴
- აუდიტის სამსახურის IT აუდიტორები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურში (GAO), სადაც გაცნენ IT აუდიტის წლიური დაგეგმვისა და აუდიტის მიმდინარეობის პროცესებს. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა GAO-ს კიბერუსაფრთხოების, ინოვაციების ლაბისა და სხვა თანამედროვე აუდიტის მიდგომები;
- აუდიტის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად ჩაერთნენ EUROSAI-ის მუნიციპალიტეტების აუდიტის სამუშაო ჯგუფის (TFMA) მუშაობაში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის აუდიტორები ერთმანეთს მუნიციპალური აუდიტის სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას უზიარებენ.

³⁴ https://www.eurosaiwgea.org/newsletters/Documents/Newsletter%20DEC%202019_revised.pdf



4.

შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

შიდა კონტროლის გამართული სისტემის არსებობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ორგანიზაციული წარმატებისა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. იგი ხელს უწყობს ორგანიზაციული რესურსების ეკონომიურად და პროდუქტიულად გამოყენებას, ასევე სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების ეფექტიანად მიღწევას. შიდა კონტროლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც ოპერაციულ, ასევე რეპუტაციასთან დაკავშირებულ ეთიკურ რისკებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შიდა კონტროლის გარემოსა და მართვის სისტემების გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია: ეთიკური გარემოს გაუმჯობესება, აუდიტორული საქმიანობის მართვა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით, შიდა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებისა და დაცულობის კონტროლი.

4.1 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ნიდერლანდების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მზარდაჭერით, განხორციელდა სამსახურის კეთილსინდისიერების გარემოს თვითშეფასება IntoSAINT-ის მეთოდოლოგიით,³⁵ რომელიც აუდიტის სამსახურის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, მართვასა და შესაბამისი პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების გზით კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. შეფასების შედეგების გათვალისწინებით, განახლდა და 2019 წელს დამტკიცდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი. შიდა კონტროლის მექანიზმების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სამსახური მუშაობს ეთიკის კონტროლის მექანიზმების სახელმძღვანელოს შემუშავებაზე, რომელშიც ასახული იქნება ინსტრუქციები, ეთიკური დილემები და ინტერესთა კონფლიქტის კონკრეტული მაგალითები.

4.2 შიდა ინფორმაციული სისტემაში და უსაფრთხოება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინოვაციური მიდგომების, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივ გაუმჯობესებასა და ინტეგრირებას აუდიტის პროცესში. თანამედროვე გამონაგონების საპასუხოდ, სამსახური ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვასა და აღსრულებას, სამსახურის მონაცემთა ცენტრისა და მონაცემთა ცენტრში არსებული მონაცემების ადმინისტრირებას, ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგკურსების შემუშავებასა და ამ მიმართულებით თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას.

აუდიტორული საქმიანობის მართვა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო აუდიტის მართვის სისტემის (AMS) შექმნა და ეტაპობრივი დანერგვა 2016 წლიდან დღემდე. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს აუდიტის პროცესის სტრუქტურირებულ და სტანდარტიზებულ მართვას, რომლის საშუალებით შესაძლებელია დროისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული უზუსტობების დაშვების რისკის მინიმუმამდე შემცირება.

2019 წელს სამსახური სრულად გადავიდა აუდიტის მართვის სისტემაზე და არსებული მდგომარეობით, სისტემაში მიმდინარეობს აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული ყველა აუდიტი. აღნიშნული სამსახურს საშუალებას აძლევს განახორციელოს უფრო ეფექტიანი ხარისხის კონტროლი აუდიტის მიმდინარეობაზე და უზრუნველყოს აუდიტის პროცესის ოპტიმიზაცია.

³⁵ უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების კეთილსინდისიერების თვითშეფასების მეთოდოლოგია.

შიდა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებისა და დაცვულობის კონტროლი

თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში არსებული გამოწვევების პირობებში, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვას, ასევე მათ განკარგვას. აღნიშნული მიმართულებებით არსებული რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, აუდიტის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს ქმედებებს, რათა მაქსიმალურად დაუახლოვდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს (ISO 27000).

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა 2019 წელს განაახლა და შეიმუშავა სხვადასხვა პოლიტიკები:

- ინფორმაციული აქტივების მართვის პოლიტიკა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის პოლიტიკა;
- ინფორმაციულ აქტივებზე დაშვების კონტროლის პოლიტიკა;
- ელექტრონული მიმოწერის პოლიტიკა;
- ქსელის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სამსახურში ფიზიკური დაშვების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პოლიტიკა.

IT აუდიტის მხარდაჭერითა და უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დანერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სამსახურის, როგორც საჯარო სექტორში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სანიმუშო ორგანიზაციის, გამართულ ფუნქციონირებას. აღნიშნულის შედეგად, სამსახურის ქსელურმა უსაფრთხოებამ 2019 წელს შეძლო თავი აერიდებინა ისეთი კიბერშეტევისაგან, რომლის შედეგად დაზარალდა და სამუშაო პროცესი შეფერხდა უამრავ კერძო და საჯარო დაწესებულებაში. ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფა, რჩება აუდიტის სამსახურის პრიორიტეტად და ამ მიმართულებით გრძელდება აქტიური მუშაობა.











5.

თანამშრომელთა პროფესიული
განვითარება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციისა და დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსი სამსახურის ძირითადი აქტივია. სწორედ ამიტომ, სამსახურის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა და დონორებიდან მიღებული

მხარდაჭერა მიმართულია ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

2019 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 317 თანამშრომელი (პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). ორგანიზაციის თანამშრომელთა 75%-ს პროფესიული შტატი შეადგენს, ესენი არიან: აუდიტორები და ანალიტიკოსები, ხოლო 25% – დამხმარე პერსონალია.




აუდიტის სამსახურში დანერგილი საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების მექანიზმის საშუალებით განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, ასევე მათი პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივები და წახალისების წინაპირობები.

2019 წელს თანამშრომელთა შეფასება განხორციელდა 2-ჯერ, 6 და 12 თვის შედეგებზე დაყრდნობით. შეფასებების შედეგად, სულ დაინიშნა 45 თანამშრომელი. თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების 2019 წლის გეგმა, რომელიც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას.


თანამშრომლების როგორც პროფესიული, ასევე სხვა უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგკურსებსა და სამუშაო შეხვედრებში. 2019 წელს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგი გაიარა 200-ზე მეტმა თანამშრომელმა. აღნიშნული სასწავლო კურსები მოიცავდა, როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ასევე აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სასერტიფიკაციო პროგრამებში, როგორებიცაა, სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერტიფიკაციო პროგრამა, ACCA, CFA, CFM, CISA და სხვ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რამდენიმე მაღალი დონის სასერტიფიკაციო და ტრენინგკურსის ჩამონათვალი, რომელთა მფლობელები არიან აუდიტის სამსახურის თანამშრომლები.

დიაგრამა 15. აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული სერტიფიკატები



დიაგრამა 14. 2019 წელს გადამზადებულ თანამშრომელთა განაწილება მიმართულებების მიხედვით



აუდიტის სამსახური მუდმივად ცდილობს მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა აუდიტორულ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში. ამ მიზნით, 2019 წელს წარმატებით გაგრძელდა აუდიტის სამსახურის ინიციატივით შექმნილი სტაჟირების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოზიდვას, მათ პროფესიულ განვითარებასა და ამ გზით სამსახურის საქმიანობის გაძლიერებას.

სტაჟირების პროგრამა გრძელდება 6 თვიდან 12 თვემდე, რომლის განმავლობაში სტაჟიორს საშუალება აქვს მიიღოს სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და დაეუფლოს პროფესიულ უნარებს. სტაჟირების გავლის შემდეგ დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა შესაძლებლობა დასაქმდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.



2018 წელს გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამაზე სამსახურმა მიიღო 800-ზე მეტი განაცხადი, საიდანაც შეირჩა 20 ახალგაზრდა. შერჩეულმა კანდიდატებმა გაიარეს სტაჟირების პროგრამისთვის შექმნილი სპეციალური სასწავლო კურსი და ჩააბარეს შუალედური გამოცდები. ერთწლიანი სტაჟირების პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ, 2019 წელს 15 ახალგაზრდა სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში დასაქმდა და ამჟამად აქტიურად არიან ჩართული როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ საქმიანობაში. სტაჟირების პროგრამა გაგრძელდა 2020 წელსაც და სამსახურმა მიიღო ახალი ნაკადი.

აუდიტის სამსახურისა და ზოგადად, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს *სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი*,³⁶ რომელიც ახორციელებს სასწავლო კურსებს 5 ძირითადი მიმართულებით: ტრენინგები სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის; საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა; ტრენინგები კომერციული მიმართულებით; მუნიციპალური განვითარების პროგრამა; საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამები.

2019 წელს ინსტიტუტმა ჩაატარა 33 ტრენინგ-კურსი, რომელსაც დაესწრო 824 მსმენელი, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები. საჯარო სექტორის აუდიტორუ-

ლი მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 102-მა პირმა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის შედეგების საფუძველზე შეიქმნა მუნიციპალური განვითარების პროგრამა, რომელიც მუნიციპალიტეტების საჭიროებებზეა მორგებული და შედგება სხვადასხვა მოდულისაგან. 2019 წელს განხორციელებულ მოდულს – შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისთვის, 37 მუნიციპალიტეტის 61 თანამშრომელი დაესწრო თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ინსტიტუტმა ასევე წარმატებით გაიარა აკრედიტაცია საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებზე და დაიწყო სხვადასხვა საჯარო უწყების საჯარო მოხელეთა გადამზადება.

გასული წელი ასევე გამოირჩეოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის გაღრმავების კუთხითაც. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 12 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან (7 რეგიონში). ინსტიტუტს უკვე 25 უმაღლეს სასწავლებელთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი.

³⁶ <http://www.sai.ge/ka/>





6.

პოლიტიკური პარტიების
დეფინანსების გამჭვირვალობისა და
ენგერიშვალდეხულების ხელშეწყობა

2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა მთაწმინდის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვადამდელი არჩევნებისა და საკრებულოების შუალედური არჩევნების მონიტორინგი.

2019 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვადამდელი არჩევნები

2019 წლის 19 მაისს გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვადამდელი არჩევნები და მთაწმინდის საარჩევნო ოლქში

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პირველი ტური, ხოლო 9 ივნისს, ამავე ოლქის მეორე ტური. ვადამდელი არჩევნები ჩატარდა შემდეგ ოლქებში: საკრებულოს წევრების – საგარეჯოს, ახმეტის, ადიგენის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, ხოლო მერების – მარნეულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ხულოს ოლქებში.

არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 19 დამოუკიდებელი კანდიდატი, ერთი ბლოკი და 18 პარტია, რომლებსაც აუდიტის სამსახურის მოთხოვნით დაუწესდა ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი პერიოდების მიხედვით.

ცხრილი 1. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 6,549,364 ლარი, გაწეულმა ხარჯებმა კი – 4,962,286 ლარი შეადგინა. მათ შორის:

	შემოსავალი	ხარჯი ³⁷
„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“	3,876,579	2,353,556
საარჩევნო ბლოკი „ევროპული საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“	902,951	798,438
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	321,451	337,751
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	296,517	322,251
„მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“	169,415	192,467

2019 წლის საკრებულოს შუალედური არჩევნები

2019 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა საკრებულოს (ლაგოდეხი, ადიგენი, მარტვილი) შუალედური არ-

ჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა 3 საარჩევნო სუბიექტი: მპკ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, მპკ „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, მპკ „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“.

ცხრილი 2. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 1,686,227 ლარი, გაწეულმა ხარჯებმა კი – 1,521,969 ლარი შეადგინა.

	შემოსავალი	ხარჯი
„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“	1,340,147	1,182,438
„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“	218,916	211,623
„მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“	127,164	127,908 ³⁸

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2019 წელს მონიტორინგის დროს გამოვლენილ საკითხებზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გადააგზავნა 14 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. აქედან, 7 საქმე ეხება 2018 წლის საქართველოს

პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში მომხდარ შემთხვევებს, 4 საქმე – 2018 წლის წლიურ დეკლარაციებში აღმოჩენილ ხარვეზებს, ხოლო 3 საქმე – 2019 წლის 19 მაისს გამართულ შუალედურ და რიგგარეშე არჩევნების დროს მომხდარ შემთხვევებს. კერძოდ:

³⁷ ხარჯის შემოსავალზე გადაჭარბება გამოწვეულია წინა პერიოდის ნაშთის გამოყენებით.

³⁸ ხარჯის შემოსავალზე გადაჭარბება გამოწვეულია წინა პერიოდის ნაშთის გამოყენებით.



N	სუბიექტის დასახელება	დარღვევა	თანხა ³⁹
1	სალომე ზურაბიშვილი	მიღებული არადეკლარირებული შემოწირულება (არა ნაციზმს და მე ვიცავ თავისუფლებას)	შენყდა
2	მპგ „ქართული ოცნება“	აკრძალული შემოწირულება (ფეისბუქის რეკლამა)	67,693
3	ნათია მილდიანი	აკრძალული შემოწირულება (ევროპულ საქართველოს)	20,000
4	შპს „ავტოჰაუსი – რუსთავი 2011“	აკრძალული შემოწირულება (ნაციონალურ მოძრაობას)	60,000
5	„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“	საარჩევნო დეკლარაციის წარმოდგენლობა	2,000
6	მპგ „ევროპული საქართველო“	მიღებული არადეკლარირებული შემოწირულება (ოფისები)	შენყდა
7	მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	მიღებული არადეკლარირებული შემოწირულება (ოფისები)	13,500
8	ახალი პოლიტიკური ცენტრი – „გირჩი“	საარჩევნო ფონდის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობა	1,500
9	„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“	საარჩევნო ფონდის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობა	1,500
10	ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი	შემოწირულების მიღება ნაღდი ანგარიშსწორების წესით	8,300
11	მპგ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“	ნაღდი ანგარიშსწორების წესით თანხის გატანა	2,000
12	მპგ „ქართული ოცნება“	ნაღდი ანგარიშსწორების წესით თანხის გატანა	შენიშვნა
13	ახალი პოლიტიკური ცენტრი – „გირჩი“	3-კვირიანი დეკლარაციის წარმოდგენლობა	2,000
14	„თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	არასერტიფიცირებული აუდიტის მიერ შედგენილი დასკვნა	5,000

პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტის სამსახურის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის გამართულ ღონისძიებებში ჩართულობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, აუდიტის სამსახურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, 2019 წელს გამართული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებებისა და პრაქტიკიდან გამოვლენილი ხარვეზების განხილვას.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ევროპის ოფისის ორგანიზებით, 2019 წელს ქ. პრელაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) გაიმართა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა უკრაინის, მოლდოვის, ჩრდილოეთ მაკედონიის, სომხეთის, ყირგიზეთისა და საქართველოს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. შეხვედრის


ფარგლებში პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, გაიმართა დისკუსია პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული პირების ჩართულობისა და მათთან კომუნიკაციის გზების გაუმჯობესების შესახებ.

მონაწილე ქვეყნებს შორის არსებული პრაქტიკების ურთიერთგაზიარებას ისახავდა ასევე მიზნად დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტისა (IDEA) და ღია საზოგადოებრივი ფორუმის ორგანიზებით, 2019 წელს, ქ. ულან-ბატორში (მონღოლეთი) გამართული 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა ლათვიის, ინდოეთისა და საქართველოს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ევროსაბჭოს მხარდაჭერით დაიწყო პოლიტიკური ფინანსების ახალი ვებპლატფორმის შემუშავება, რომელიც მომხმარებელს შემოწირულებების საძიებო სისტემასთან ერთად პარტიების შემოსავლებისა და ხარჯების სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით სტატისტიკურად დამუშავების საშუალებას მისცემს.

³⁹ სასამართლო გადაწყვეტილებები.






7.

სამსახურის ფინანსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 16.1 მლნ ლარით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 0.1%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის – 0.03%-ია. ფაქტობრივად ათვისებული თანხამ 15.9 მლნ ლარი შეადგინა. სამსახურის მთლიანი ბიუჯეტის 82%-ს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება⁴⁰ შეადგენს.


2019 წელს, „ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების“ პროექტისათვის, მსოფლიო ბანკსა და აუდიტის სამსახურს შორის გაფორმებული საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, სამსახურმა მიიღო მიზნობრივი გრანტი 405 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდა IT აუდიტორთა პროფესიულ განვითარებას.

დიაგრამა 16. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის ფინანსები სტრუქტურა



- შრომის ანაზღაურება
- არაფინანსური აქტივების ზრდა
- დანარჩენი ხარჯები

⁴⁰ შრომის ანაზღაურება მოიცავს შტატიტ გათვალისწინებულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურებას სოციალური დახმარების ჩათვლით.



8.

მომავლის ხედვა და არსებული
გამოწვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ღირებულების წარმოჩენა და საქმიანობიდან მიღებული სარგებლის მუდმივი ზრდა ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა. სწორედ ამიტომ, სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას, რათა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები დროულად და ეფექტიანად იქნეს მიღწეული.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ორგანიზაციის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების საუკეთესო საშუალებების მოძიებასა და მათი განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას. საჯარო სექტორში არსებული ტენდენციები და მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვანი გამოწვევაა არა მხოლოდ აუდიტის სამსახურისთვის, არამედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც, რაც კიდევ უფრო ზრდის სამსახურის როლს ამ პროცესებში.

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ISSAIs), უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შემოსავლების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც გამოიხატება საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისა და საგადასახადო მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით რწმუნების გამოთქმაში. ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევად რჩება აუდიტის სამსახურის შებენიერი მანდატი შემოსავლების აუდიტის ჩატარებაზე, რაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება მთავრობის მიერ IPSAS-ის სტანდარტებით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების ვალდებულების გაჩენისას. ამ გამოწვევის საპასუხოდ სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც მთავრობასთან და პარლამენტთან, ასევე დონორ ორგანიზაციებთან.

აუდიტორული საქმიანობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არსებული რესურსის ოპტიმიზაციისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესების გზით, წაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 2017-2020 წლებში გაზარდა 81%-დან 89%-მდე. საერთაშორისო მოთხოვნებთან (PEFA) სრულად შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის ამოცანაა, უზრუნველყოს დაფარვის სულ მცირე 90%-იანი ნიშნული. გამოწვევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაფარვის მაჩვენებლის შემდგომი ზრდა დაკავშირებულია

ბევრი მცირე ბიუჯეტის უწყების აუდიტთან, რაც დამატებით რესურსს მოითხოვს. საერთაშორისო სტანდარტთან დაახლოების მიზნით, აუცილებელია ყველა მუნიციპალიტეტის აუდიტით დაფარვა 3 წელიწადში ერთხელ, რაც მათი რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ძირითადი პარტნიორების ჩართულობა

დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ზრდასთან ერთად, გაიზარდა დონორების მხრიდან (WB, USAID) მოთხოვნა საქართველოში მათ მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ. სამსახურისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა დონორების მხრიდან გაზრდილი მომართვიანობა.

შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და განკარგვას. შესაბამისად, სამსახური აგრძელებს მუშაობას ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობისა და ტექნიკური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

ადამიანური რესურსების მართვა

სამსახურის უმთავრეს ინტელექტუალურ რესურსს წარმოადგენს პროფესიული კადრები. თუმცა, აუდიტის სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურისათვის გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების გადინების მაღალი მაჩვენებელი და კვალიფიციური კადრების მოზიდვა. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული ახალი მიმართულებების გაძლიერებისა და დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლის უზრუნველყოფის კუთხით.

დანართები

დანართი N1. 2019 წელს ჩატარებული აუდიტების სია

1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
4	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
10	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
11	სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტი
12	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური აუდიტი
13	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსური აუდიტი
14	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
15	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსური აუდიტი
16	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების წაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
17	სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების შესაბამისობის აუდიტი
18	ხელშეკრულებების მართვის შესაბამისობის აუდიტი
19	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
20	შპს ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
21	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
22	ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი
23	საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „ბასკონიას“ / ფონდ „5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
24	სსიპ – „საქპატენტის“ შესაბამისობის აუდიტი
25	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისობის აუდიტი
26	შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი
27	საერთო სასამართლოების აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი



28	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
29	აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
30	შპს „ავტორანსსერვისის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
31	შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ცხუმის“, შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“ მიერ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
32	ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
33	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი – საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესაბამისობის აუდიტი
34	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი
35	ქ. ბათუმის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
36	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
37	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
38	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედ საწარმოებში საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
39	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
40	ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
41	გორის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
42	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
43	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
44	თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
45	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
46	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
47	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
48	მესტიის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
49	მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
50	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
51	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

52	წალკის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
53	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
54	ხონის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
55	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი
56	უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
57	სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანობის აუდიტი
58	სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი
59	კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი
60	პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
61	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეფორმაში მიღწეული პროგრესის ეფექტიანობის აუდიტი
62	საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანობის აუდიტი
63	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი
64	წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი
65	სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი
66	შშმ პირების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი
67	ქალაქ თბილისის განაშენიანების პროცესის მართვის ეფექტიანობის აუდიტი
68	ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
69	სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემის ეფექტიანობის აუდიტი
70	სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი



ღენერტი N2. საქართველოს ორგანოებში 2019 წელს გალაგებული ანგარიშების ჩამონათვალი

1	ა(ა)იპ – საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების შესაბამისობის აუდიტი
2	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“, „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციისა“ და „ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
3	ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
4	ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
5	ნალენჯის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
6	შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
7	შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
8	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
9	საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
10	კასპის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
11	თვითმმართველი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
12	სენაკის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
13	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
14	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
15	ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
16	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
17	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
18	ძალოვანი უწყებების უნიფორმით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
19	ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
20	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პროგრამის შესაბამისობის აუდიტი
21	სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2015-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივების შესაბამისობის აუდიტი
22	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო)
23	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

24	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
25	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
26	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
27	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
28	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვის და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი
29	გორის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
30	მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გამოყოფილი საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული მასალები
31	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
32	თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
33	სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი
34	ხონის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი



დანართი N3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ეგვიპოზიციასზე